ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## რატომ გამყარდა ლარი?


გვ.6

25 აპრილიდან

დევიდ უეისი

**როდენი**

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 21-ე

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი




სამშაბათი, 25 აპრილი, 2017

№96 (7331)

ფასი: 50 თეთრი

# ახალგორს შეიძლება პუტინირი დაარქვან



გვ.2

## ცხინვალი მთავრობის გარეშე დარჩა

## იგორ გიორგაძის კადრები და მილიონერები ნარმანიას მთავრობაში


გვ.3




რისთვის იყიდა გარდაბნის გამგებელმა გოჩა ჯამარაულმა 2.820 ლარის სტეპლერები



„კვირიკაშვილი უნდა გადადგეს“

## სანდრო ბრეგაძე: „ხელისუფლებამ უკან დაიხია. დიდგვარობა ოფიციალურად აღინიშნება“


გვ.2


გვ.5

## თენგიზ შარმანაშვილი: „ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით ავტორიტარიზმის საფრთხე მცირდება“

„ჩვენი გზა არის ევროპული გზა“

## „ყაზტრანსგაზმა“ საქართველოს ხელისუფლებას სასამართლოში უჩივლა


გვ.6


გვ.4

## შოთა მალაშხია: „ქართული ოცნება“ სულ მარტო დარჩა“

„კონსტიტუციას ცვლიან ისე, როგორც შპს-ს დამფუძნებელს უნდა“

## „ქართული მიწის გაყიდვა ქვეყნის ღალატია“


გვ.5

თენგიზ დიხამინჯია: „ჩვენ ახალი კონსტიტუცია გვჭირდება“

შამგონაში რეიკი გამოჩნდა – სოფელი პანიკამ მოიცვა



გვ.3

ISSN 1987-9385

## სუს-მა თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ორი პირი დააკავა

გვ.7

# სანდრო ბრეგაძე: „ხელისუფლებამ უკან დაიხია. დიდგორობა ოფიციალურად აღინიშნება“

## „კვირიკაშვილი უნდა გადადგეს“

ნონა ცაბაძე

მოძრაობა ეროვნულების ლიდერი სანდრო ბრეგაძე საკუთარ ფეისბუქ გვერდზე საზოგადოებას მიმართავს და აცხადებს: „თქვენ გენაცვალეთ, ქართველებო, თქვენთვის სასიხარულო ამბავი მაქვს. თქვენმა პროტესტმა შედეგი გამოიღო. დღეს შედგა თათბირი მთავრობაში და გადაწყდა, რომ არეულობის თავიდან ასაცილებლად, დაყვენ ხალხის ნებას და დიდგორობა, როგორც სახალხო დღესასწაული, ისე აღნიშნონ.“

აღნიშნულ საკითხს გასულ კვირას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. „ახალი თაობის“ კითხვებს **სანდრო ბრეგაძე** პასუხობს.

***– ბატონო სანდრო, აღნიშნული თემა გასულ კვირას აქტიურად განიხილებოდა. „ოცნება“ აცხადებდა, მეზობელ თურქებს ვერ ვაწყენინებთო. რა მოხდა, რა შეიცვალა?***

– პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც მოქმედებს არა ქართველი ერის ინტერესებიდან, არამედ მოქმედებს უცხო ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე საქართველოში მოვიდოდა ისეთი ტიპის ხელისუფლება, რომელიც გაბედავდა, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის და ქართველი ერისთვის აეკრძალა დიდგორობის დღესასწაულის ოფიციალური აღნიშვნა. დიდგორის ბრძოლა გახლავთ საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი გამარჯვება, რომელიც მოიპოვა დავით აღმაშენებელმა.

***– როდის აგვიკრძალეს ზეიმი და აღნიშვნა?***

– ჩვენდა სამწუხაროდ, პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა, საქართველოს მოსახლეობის და ქართველი ერის ზურგს უკან, მიიღო თურქეთის ხელისუფლების ბრძანება, ამ ქვეყნის ინტერესები გაატარა და მზაკვრულად მოინდომა, რომ საქართველოს და ქართველობას აღარ აღენიშნა ოფიციალურად სახელმწიფო დონეზე დიდგორის გამარჯვების წლისთავი.

ეს გახლავთ გაუგონარი თავხედობა და გაუგონარი ტიპის მოღალატეობრივი ქმედება, რომელიც არ უნდა ეპატიოს პირადად პრემიერ კვირიკაშვილს. ადამიანს, რომელსაც ყოფნის იმდენად დიდი სითავხედე, რომ დავით აღმაშენებლის მიერ მოპოვებულ გამარჯვებას ხაზს უსვამს და ცდილობს დაიჭიროს არა მისი ქვეყნის ინტერესების მხარე, არამედ გაატაროს უცხო ქვეყნის ინტერესები.

***– მოვისმინეთ შეფასებები, რომ ეს ყველაფერი არ ჯდება დიპლომატიურ ჩარჩოებში, რომ სამხედრო კონფლიქტის წლისთავებს არც ერთი ქვეყანა არ აღნიშნავს ზარზეიმით. ჩვენი ხელისუფლებაც მოერიდა მეზობელი თურქეთის განაწყენებას?***

– სამწუხაროდ, ჩვენ დღეს გვყავს საკმაოდ უნიათო და შეშინებული ხელისუფლება. მათ საკუთარი ლანდისაც კი ეშინიათ და არ შეუძლიათ რაიმე რადიკალური ღონისძიების გატარება. ეს იყო ჩვენი დიდი გამარჯვება და რატომ არ უნდა აღინიშნოს?! თქვენ წარმოიდგინეთ, 1121 წელს დავით აღმაშენებლის მაგივრად ქვეყნის მმართველი რომ ყოფილიყო კვირიკაშვილი და ჯარის მთავარსარდალი – მარგველაშვილი, ჩვენ დიდგორის ბრძოლაში არც ჩავებმებოდით, ისე დანებდებოდნენ.

აი, ასეთ პოლიტიკურ დეგრადაციამდე მივედით დავით აღმაშენებლიდან კვირიკაშვილ-მარგველაშვილამდე. ამ ადამიანებს არათუ ბრძოლის, არამედ დიდი დავითის მიერ მოპოვებული გამარჯვების აღნიშვნისაც კი ეშინიათ!

***– ეს თემა სადავო არასოდეს გამხდარა, რატომ გახდა დღეს ასე აქტუალური და რატომ წამოიწია წინა პლანზე?***

– საქართველოს პარლამენტში შეტანილი იქნა კანონპროექტი იმის თაობაზე, რომ დიდგორობა გამოცხადდეს უქმე დღედ და ის გამოცხადდეს სახელმწიფო დღესასწაულად. დიდგორობა სახალხო დღესასწაული ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება, მაგრამ არც იმაზე უნდა იდავოს ვინმემ, რომ საქართველოს ყველაზე დიდი გამარჯვება უნდა იყოს სახელმწიფო დღესასწაული! ის უნდა აღინიშნებოდეს სახელმწიფოებრივ დონეზე, რომელიც უნდა იყოს უქმე დღე და რომელიც ერმა და ბერმა ერთიანად უნდა აღნიშნოს.

საერთოდ კითხვის ნიშანიც კი არ გაგვჩენია არავის, რომ რაიმე მცირე წინააღმდეგობა მაინც თუ იქნებოდა ამ საკითხთან დაკავშირებით.

***– და რა მოხდა?***

– ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები იმდენად გათავხედდნენ, იმდენად ეშინიათ პირადი კომფორტის დაკარგვის, მზად არიან, რომ ჩვენი რელიგიური და სახელმწიფოებრივი დღესასწაულები გააუქმონ, ოღონდაც თავიანთი პირადი კომფორტი არ დაკარგონ.

***– ვინ მოგაწოდათ ინფორმაცია, რომ შეცვალა მთავრობამ გადაწყვეტილება და რომ ეს დღესასწაული აღინიშნება?***

– ჩვენდა საბედნიეროდ, ათი ათასობით ახალგაზრდა მწერდა, რომ მზად იყვნენ, საკუთარი სიცოცხლის ფასად დაეცვათ აღმაშენებლის მიერ მოპოვებული ეს დიდი გამარჯვება. ყველა მზად იყო, რომ დაწყებულიყო მასობრივი საპროტესტო აქციები ამ თემასთან დაკავშირებით. ჩვენ გვქონდა ჩანაფიქრი იმის თაობაზე, რომ დიდგორობის დღესასწაულის დღეს გამოგვეცხადებინა საერთო სახალხო გაფიცვა და არავინ არ წასულიყო სამსახურში და ყველანი წავსულიყავით დიდგორის ველზე და იქ გვეჩვენებინა თურქეთის ინტერესების გამტარებელი კვირიკაშვილისთვის, თუ ვინ არის საქართველოს ინტერესების გამტარებელი.

როდესაც ეს საშიშროება დაინახეს და როდესაც მიხვდნენ, რომ ამას მოყვებოდა საკმაოდ დიდი პოლიტიკური ძვრები და ხმაურიანი საპროტესტო აქციები, ხელისუფლება იძულებული გახდა, უკან დაეხია.

***– ეს თქვენ ვინ გითხრათ?***

– მე დამიკავშირდნენ სანდო პირები სახელისუფლებო წრეებიდან და მითხრეს, რომ გუშინ შედგა თათბირი და ამ თათბირზე, იმ საფრთხეებიდან გამომდინარე, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ქართველთა მასობრივ პროტესტს, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული კანონპროექტი გავა და ჩვენ დიდგორობას აღვნიშნავთ სახელმწიფოებრივ დონეზე.

***– თუ ასე მოხდა, მაშინ რას ეტყვიან მეზობელ თურქებს, რომლის გამოც ერთხელ უკვე უარი თქვეს ამ კანონპროექტზე?***

– ეს უკვე აღარ ვიცი. ეს მათი მოსაგვარებელია. რა თქმა უნდა, ჩვენ თურქეთთან უნდა გვქონდეს კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ არასოდეს არც თურქეთის, არც რუსეთის და არც ამერიკის ინტერესები არ უნდა დავაყენოთ საქართველოს და ქართველის ერის ინტერესებზე მაღლა. ჩვენდა სამწუხაროდ, კვირიკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ საქართველოს და ქართველი ერის ინტერესებზე მაღლა დააყენა ამ შემთხვევაში თურქეთის ინტერესები. მე ვფიქრობ, რომ ეს არის მათთვის მწარე გაკვეთილი, მაგრამ ეს ასე მაინც არ უნდა დამთავრდეს!

***– აბა როგორ დასასრულს ელოდებით?***

– ხელისუფლება, რომელიც ერთხელ გადადგამს მოღალატეობრივ ნაბიჯს, არ შეიძლება დარჩეს ხელისუფლებაში! კვირიკაშვილი გახლავთ საქართველოს სირცხვილი! მან ჩაიდინა სამარცხვინო აქტი! გადადგა სამარცხვინო ნაბიჯი და მას არ აქვს არც მორალური და არც პოლიტიკური უფლება, დარჩეს ხელისუფლებაში!

***– ანუ კვირიკაშვილის გადადგომას მოითხოვთ?***

– საქართველოს მოსახლეობამ და ქართველმა ერმა კვირიკაშვილს გამოუტანა უკვე განაჩენი და პირდაპირ განუცხადა მას, რომ ის არ არის მისი ხელისუფალი. მე არ მაქვს იმის ილუზია, რომ კვირიკაშვილს ეყოფა იმის ვაჟკაცობა, რომ გადადგეს.

თავად ბიძინა ივანიშვილი უნდა დაფიქრდეს იმაზე, შეიძლება თუ არა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იყოს პიროვნება, რომელსაც არ გააჩნია არანაირი საკუთარი აზრი და არ გააჩნია საკუთარი ნება, რომელსაც არ შეუძლია დაიცვას საკუთარი ქვეყნის ინტერესები. მეთაური, რომელსაც ელემენტარულ საკითხში არ შეუძლია ქვეყნის ინტერესის გატარება, უფრო სერიოზულ პრობლემებს მოაგვარებს?!

ბიძინა ივანიშვილმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა იმ მთავრობის და ხელისუფლების ქმედებებზე, რომელიც პირადად მის მიერ არის მოყვანილი. ის, რომ ციხეში პატიმრებს აღარ აუპატიურებენ, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კარგი ხელისუფლება გვყავს! ამ ადამიანებს არანაირი პრინციპები არ გააჩნიათ!



**1121 წელს დავით აღმაშენებლის მაგივრად ქვეყნის მმართველი რომ ყოფილიყო კვირიკაშვილი და ჯარის მთავარსარდალი – მარგველაშვილი, ჩვენ დიდგორის ბრძოლაში არც ჩავებმებოდით, ისე დანებდებოდნენ**

# ახალგორს შეიძლება პუტინირი დაარქვან

## ცხინვალი მთავრობის გარეშე დარჩა

შორენა მარსაგიშვილი

რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი მთავრობის გარეშე დარჩა. ამის მიზეზი ახალად არჩეული პრეზიდენტია, რომელიც თავის გუნდს მაქსიმუმ 2 კვირაში წარადგენს.

ცხინვალის მთავრობა გუშინ, 24 აპრილს, გადადგა. აწ უკვე ყოფილმა პრემიერმა დომენტი კულუმბეგოვმა მთავრობის ბოლო სხდომა გამართა და მინისტრთა კაბინეტის წევრებს გაწეული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა.

– მინდა ყველა თქვენგანს მადლობა ვუთხრა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით, რომ რესპუბლიკა განვითარებულიყო, – განაცხადა დომენტი კულუმბეგოვმა.

რამდენიმე მინისტრმა თანამდებობა გაცილებით ადრე დატოვა. ისინი მანამდე წავიდნენ, სანამ ახლად არჩეული ანატოლი ბიბილოვი პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას ოფიციალურად შეუდგებოდა.

ძველ პრეზიდენტს თან მიეწივნენ უშიშროების და დაზვერვის სამსახურების უფროსები – ანატოლი პლიევი და სოსლან გატიკოევი. მათთან ერთად თანამდებობა დატოვა კულტურის მინისტრმა მადინა ოსტაევამაც.

24 აპრილს კი სხვა ჩინოსნებიც წავიდნენ. ოსური მედიის ცნობით, თანამდებობა სულ 14 მაღალჩინოსანმა დატოვა.

ნაპრემიერალი კულუმბეგოვი მიიჩნევს, რომ 24 აპრილს გადამდგარი მთავრობის ავ-კარგიანობას მოგვიანებით შეაფასებს ხალხი და ისტორია.

გადადგომამდე მან აღიარა, რომ მთავრობამ ყველა ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოახერხა.

– რაღაცა ალბათ ვერ დავინახეთ, რაღაცა ვერ გავაანალიზეთ, მაგრამ მთავარია, რომ ვეცადეთ, – დაიწუწუნა დომენტი კულუმბეგოვმა.

მან მომავალ მთავრობას წარმატებები უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ ისინი რესპუბლიკის განვითარებისთვის ყველაფერს გააკეთებენ.

ახალი მთავრობის დაკომპლექტებამდე ძველები მინისტრების მოვალეობას შეასრულებენ. ახალი მთავრობა კი რესპუბლიკას მაქსიმუმ 2 კვირაში ეყოლება.

მათ გუშინვე შეხვდა ანატოლი ბიბილოვი და წასულებთან ერთად რიგით პირველი მთავრობის სხდომა გამართა.

მან მთავრობის წევრების განცხადება გადადგომის შესახებ დააკმაყოფილა. ამასთან მან გადაყენებულებს სთხოვა, ახლების წამოყენებამდე ისევ ძველებური შემართებით იმუშავეთო.

ახალი მინისტრთა კაბინეტის დასაკომპლექტებლად ბიბილოვმა 2-კვირიანი ვადა ითხოვა.




* * *

9 აპრილს ჩატარებული რეფერენდუმის მიხედვით, რესპუბლიკას ალანია დაარქვეს. დღემდე ისტორიულ სამაჩაბლოს ისევ სამხრეთ ოსეთად მოიხსენიებენ. ცხინვალში ვერ აკონკრეტებენ, როდის შეუცვლიან რესპუბლიკას სახელს. ეს გარკვეულ ფინანსებთან არის დაკავშირებული.

ოსები სახელის შეცვლას ახალგორის რაიონსაც უპირებენ. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ამ რაიონს ლენინგორად მოიხსენიებენ. ეტყობა, ლენინისადმი ტრფიალი ოსებსაც მოსწყინდათ და სხვა სახელს ეძებენ ამ რაიონისთვის.

ოსურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ახალგორს შესაძლოა პუტინირი დაარქვან. რამდენიმე ადამიანი კი ითხოვს, რომ რაიონს ბიბილდონი ეწოდოს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# იგორ გიორგაძის კადრები და მილიონერები ნარმანიას მთავრობაში

## რისთვის იყიდა გარდაბნის გამგებელმა გოჩა ჯამარაულმა 2.820 ლარის სტეპლერები

შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტის და თბილისის საკრებულოს წევრებს არც თბილისის მთავრობა ჩამორჩა და მათ რიგებშიც აღმოჩნდნენ მილიონერები. მილიონერების გარდა, დედაქალაქის მთავრობაში შევარდნაძის კადრებიც მრავლად არიან.

გარდაბნის გამგეობაში მილიონერები არ გამოუვლენიათ, მაგრამ გამგებლის გოჩა ჯამარაულის საკანცელარიო ნივთებით გატაცებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სტეპლერების და ფაილების შეძენით რომ გული იჯერა, ძველი პროფესიაც გაიხსენა და რამდენიმე ათასი ლარი სპორტულ სამოსში გადაიხადა.

### შევარდნაძის აჩრდილი მერიაში

– დედაქალაქის მერი ოპონენტებს ხშირად ნაციონალურ წარსულს უხსენებს. ანალოგიური პრეტენზიები ჩემთანაც ჰქონდა, მაგრამ მის გარშემოც მრავლად ყოფილან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები. მათ შორის შევარდნაძის კადრები. ერთ-ერთი მათგანი, უკლება, სულაც იგორ გიორგაძესთან მსახურობდა. ამ ხალხს რომ ვუყურებ, ასე მგონია, მერიაში აჩრდილი დადის, აჩრდილი შევარდნაძისა, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი.

მისი თქმით, კვლევა, რომელიც „ახალმა საქართველომ“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორთან“ ერთად ჩაატარა, იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ მერიაში მაღალ თანამდებობაზე დანიშნული პირებიდან ყოველი მესამე შევარდნაძის დროინდელია.

„ახალი საქართველოს“ წარმომადგენელი მათ ვინაობასაც ასაჯაროებს:

– ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა მუმლაძე 1995-99 წლებში ქვემო ქართლის პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაციაში მრჩეველი იყო, საინტერესოა, რომ მრჩევლის თანამდებობას 17 წლის ასაკიდან იკავებდა.

ეკოლოგიის სამსახურის უფროსი გიორგი წერეთელი 2002-2004 წლებში საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურში სამმართველოს უფროსად მუშაობდა.

შესყიდვების სამსახურის უფროსი დავით მორალიშვილი 1996-99 და 2001-2002 წლებში ფინანსთა სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა.

საფინანსო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე 1999-2000 წლებში საქართველოს ვაჭრობის მინისტრის მოადგილე გახლდათ, 2001-2002 წლებში სახელმწიფო ხაზინის საოპერაციო დეპარტამენტში უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

ლევან ხაბეიშვილის განცხადებით, იგორ გიორგაძის დროს უშიშროების სამსახურში ნამუშევარი კადრი ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს ხელმძღვანელობს.

– ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი უკლება 1994-2004 წლებში უშიშროების სამსახურის თანამშრომელი იყო, საბურთალოს გამგებელი ბექა მიქაუტაძე საქართველოს პარლამენტში ერთ-ერთი დეპარტამენტის წამყვან სპეციალისტად მუშაობდა.

შევარდნაძის დროს ასევე სხვადასხვა თა-



ნამდებობებზე მუშაობდა ზურაბ ჩიკვილაძე. ისნის რაიონის გამგებელი ვახტანგ ქიზიყურაშვილი 1994-2001 წლებში ნაძალადევის რაიონში განყოფილების უფროსი იყო, – ამბობს „ახალი საქართველოს“ წევრი.

შევარდნაძის კადრებად შეიძლება ჩაითვალონ ნარმანიას მოადგილეებიც. საინტერესო ის ფაქტია, რომ ისინი ძალოვან სტრუქტურებში მსახურობდნენ.

აი, რა დადგინდა კვლევის შედეგად:

თბილისის მერის მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილი 1997-2003 წლებში სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მსახურობდა.

ნარმანიას კიდევ ერთი მოადგილე ნინა ხატისკაცი 1999-2002 წლებში თავდაცვის სამინისტროს ანალიტიკოსი გახლდათ.

მერიის ადმინისტრაციის უფროსი ირაკლი ხუცურაულიც შევარდნაძის ხელისუფლების პირობებში იკავებდა სხვადასხვა თანამდებობას.

ისიც საგულისხმოა, რომ შევარდნაძის აჩრდილები ნაციონალების დროსაც მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ.

ლევან ხაბეიშვილი:

– ნარმანიამ ძალიან კარგად იცის, რამდენი ყოფილი ნაციონალია მის გარშემო. და რაკი ამ ადამიანს სხვებისთვის უყვარს ნაციონალობის დაბრალება, დავუსახელებ რამდენიმე ყოფილ ნაციონალს, რომლებიც მის მთავრობაში მაღალ თანამდებობებზე მუშაობენ.

სოციალური სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი 2004-2011 წლებში მუშაობდა ჯანდაცვის სამინისტროში და ნასამართლევია თაღლითობის მუხლით. უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსი ვალერი პაპიაშვილი 2002-2012 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში მაღალ თანამდებობებზე.

შესყიდვების სამსახურის უფროსი დავით მორალიშვილი 2004-2006 წლებში თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი გახლდათ. იურიდიული სამსახურის უფროსი სოფო გიგანი 2008-2010 წლებში აჭარის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის იურისტი იყო.

საფინანსო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე 2006-2010 წლებში სოციალურ პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფდა. ხო-




ლო 2010-2011 წლებში კონტროლის პალატის თანამშრომელი იყო.

მისი თქმით, ნაციონალების დროს მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ სამგორის რაიონის გამგებელი გიორგი ბაგრატიონი და ვიცე-მერი ლაშა აბაშიძე.

### მილიონერები მერიაში

„ახალი საქართველო“ და „მედიატორი“ 2 თვის მანძილზე სწავლობდნენ მერიის მაღალჩინოსნების დეკლარაციებს. როგორც „მედიატორის“ წარმომადგენელმა ნინო ყურაშვილმა „ახალ თაობას“ განუცხადა, მათ 30 მაღალჩინოსნის დეკლარაცია გამოითხოვეს.

აღმოჩნდა, რომ დეკლარაცია მხოლოდ 1 ადამიანს არ ჰქონდა შევსებული. 29 ადამიანიდან 4 პიროვნება მილიონერი აღმოჩნდა.

– მილიონერთა სიაში პირველ ადგილს იკავებს კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი ია მაქაცარია. მეორე, მესამე და მეოთხე ადგილებს ზედამხედველობის სამსახურის უფროსი გიორგი უკლება, ჩუღურეთის რაიონის გამგებელი ზურაბ ჩიკვილაძე და სამგორის რაიონის გამგებელი გიორგი ბაგრატიონი ინაწილებენ, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ყურაშვილი.

ნინო ყურაშვილი მერიის მთავრობაში მილიონერთა სიმწირით ცოტა გაოცებულია. ის უფრო მეტ მილიონერს ელოდა. ის „იმედოვნებს“, რომ დედაქალაქის მთავრობაში რეალურად უფრო ბევრი მილიონერია, რაზეც საუბარი მათ ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას არ ისურვეს.

მას საფუძვლიანი ეჭვი აქვს იმის სათქმელად, რომ ჩინოვნიკები დეკლარაციებს არაკეთილსინდისიერად ავსებენ. ამ ეჭვებს კი კონკრეტული მაგალითები უღრმავებს:

– სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის გელა ჩივიაშვილის ქონებრივი დეკლარაციიდან გამომდინარე არც ის და არც მისი ოჯახის წევრი არ ფლობენ საცხოვრებელ ბინას. მის ქონებრივ დეკლარაციაში არ არის მითითებული ქირავნობის და იჯარის ხელშეკრულება, სადაც მას და მის ოჯახს შეეძლებოდა ცხოვრება, ამ შემთხვევაში თუ ისინი ცხოვრობენ მშობლებთან ან ნათესავთან, ქონებრივ დეკლარაციაში ისინიც მოხსენიებული უნდა იყვნენ, როგორც ოჯახის წევრები.

ნაძალადევის რაიონის გამგებლის ირაკლი ხელაძის ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მას არ ჰყავს ოჯახის წევრები, არ ფლობს არანაირ ქონებას და ზოგადად მისი ქონებრივი დეკლარაციის ნახვისას აღმოაჩენთ, რომ ის მხოლოდ 500 ლარის მფლობელია.

ნინო ყურაშვილი მიიჩნევს, რომ არ იქნებოდა ცუდი, თუ სათანადო ორგანოები ამ დეკლარაციებით დაინტერესდებოდნენ.

„ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის თქმით, ქონებრივი დეკლარაციების პარალელურად მათ შეისწავლეს, თუ რამდენი მათგანის ოჯახის წევრია დასაქმებული სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურში.

2-თვიანი კვლევის შედეგად ასეთი ფაქტები გამოვლინდა:

– ვახტანგ ქიზიყურაშვილის ისნის რაიონის გამგებლად დანიშვნის შემდეგ, მისი ვაჟი ირაკლი ჯერ დიდუბის რაიონის გამგეობაში, ხოლო ამჯერად შპს თბილისელების ჯგუფში გარე განათების სამსახურში დაასაქმეს ტექნიკური განყოფილების უფროსად,

მისი მეუღლე თამარ გურამიშვილი კი 92-ე საჯარო ბაღში მუშაობს.

საბურთალოს გამგებლის ბექა მიქაუტაძის მეუღლე ინგა კორკოტაძე საქართველოს პარლამენტში იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწეა, დიდუბის რაიონის გამგებლის ირმა ზავრადაშვილის მეუღლე არჩილ ჩხარტიშვილი სახელმწიფო კანცელარიაში პრემიერ-მინისტრის მრჩევლის თანამდებობას იკავებს.

უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის ვალერი პაპიაშვილის მეუღლე ლილი ქართველიშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროშია დასაქმებული, დედაქალაქის მერის მოადგილის ნატო ქიტიაშვილის ძმა დავით ქიტიაშვილი ასევე დედაქალაქის მერიაში კეთილმოწყობის სამსახურში მუშაობს.



როგორც ნინო ყურაშვილი ამბობს, არც ნარმანიას მოადგილის მეუღლეა უმუშევარი. მისი განმარტებით, ნინო ხატისკაცის ქმარი კაპიტონ ჟორჟოლიანი მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელია.

### სტეპლერები და ყოჩები გამგებლისთვის

საქართველოს ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ გოჩა ჯამარაულს, რომელიც ამჟამად გარდაბნის გამგებელია, უცნაური ჰობი აღმოაჩნდა. ის აშკარად საკანცელარიო ნივთების შეგროვებით არის გატაცებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელია იმის ახსნა, თუ რაში სჭირდება ამ ადამიანს ამდენი სტეპლერი და ფაილი.

გარდაბნის გამგეობიდან გამოთხოვილი ოფიციალური დოკუმენტაციით გაოგნებული დარჩა „ახალი საქართველოს“ წევრი თეონა ჭალიძე.

– ძალიან დიდ უპასუხისმგებლობას აქვს ადგილი, როცა გოჩა ჯამარაულის თაოსნობით გარდაბნის მუნიციპალიტეტმა ახლახან 19.768 ლარის საკანცელარიო ნივთები შეიძინა. აქედან 2.820 ლარის მხოლოდ სტეპლერებია ნაყიდი. 1.588 ლარი კალმების შესაძენად დაიხარჯა. 1.000 ლარის ბაინდერებში გადაიხადეს. 1.260 ლარი კი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# შამგონაში რეიკი გამოჩნდა – სოფელი პანიკამ მოიცვა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამგონაში ბოლო რამდენიმე დღეა მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. სოფელში ამბობენ, რომ იდუმალი არსება რამდენიმე ოჯახს გვიან ღამით „სტუმრობს“.

მათი თქმით, ესმით უცნაური ხმები, კარზე კაკუნი, რომელიც ძალიან აშინებთ. ამის შესახებ საქმის კურსშია შამგონის გამგებელიც.




– მე ამ ფაქტს ვერც უარვყოფ და ვერც ვადასტურებ, რადგან რეალურად ფაქტი არ არსებობს, კი, მართალია, მოსახლეობა პანიკაშია, შეშინებულები არიან, ესმით რაღაც ხმები, მაგრამ ჯერ ხელჩასაჭიდი ვერაფერი ვიპოვეთ. შევატყობინეთ უბნის რწმუნებულსაც, მიდიან სამართალდამცავები ამ ოჯახებთან, ყურადღებას აქცევენ, 2-3 ოჯახია სულ, რომლებიც ამბობენ, რომ მათ სახლში ღამღამობით მოდის ეს რეიკი და არ ვიცი რა ხდება, არც ფოტო არ არის გადაღებული და ისე ფაქტის გარეშე ლაპარაკი რთულია, – უთხრა „ოდიშინიუსს“ შამგონის გამგებელმა დემნა ხუბუამ.

ინფორმაცია რეიკის გამოჩენის შესახებ „ოდიშინიუსს“ შამგონის მკვიდრმა მიაწოდა, რომელიც ამბობს, რომ ფოტო სოფლის მიტოვებულ სახლს მოზარდმა გადაუღო, რომელმაც გადაღებულ სურათზე რეიკის მსგავსი გამოსახულება შეამჩნია.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, სოფელში სწორედ ამის შემდეგ ალაპარაკდნენ ამ უცნაური არსების შესახებ, რომლის გამოჩენამაც გასული წლის ზაფხულში მთელი საქართველო პანიკაში ჩააგდო, იბეჭდებოდა ფოტოები, ვრცელდებოდა ვიოდეოები, სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებლები ამბობდნენ, რომ უცნაური აღნაგობის „მანათობელი“ არსება მათი ხშირი სტუმარი იყო.

შამგონის გამგებლის თქმით, სოფელში ეს ოჯახები სასულიერო პირებმა აკურთხეს.

– ისინი ამ ფაქტს დემონური ძალების არსებობას მიაწერენ, – განაცხადა დემნა ხუბუამ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# შოთა მალაშხია: „ქართული ოცნება“ სულ მარტო დარჩა“

## „კონსტიტუციას ცვლიან ისე, როგორც შპს-ს დამფუძნებელს უნდა“

მარიამ მჭედლიშვილი



აქტუალურ პრობლემებზე „ახალი თაობა“ ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატ **შოთა მალაშხიას** ესაუბრა.

***— ამ დღეებში სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ დამტკიცებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი განსახილველად პარლამენტს გადაეცემა. პროექტს კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან პარტიები.***

— „ქართულმა ოცნებამ“ ამით დაამტკიცა, რომ მოლაპარაკებებისა და შეთანხმების უნარი ქვეყნის შიგნითაც არ გააჩნია. იმ ცვლილებებს, რომლებიც კონსტიტუციაში უნდა შევიდეს, მხარს არ უჭერს არც ერთი პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია. ვგულისხმობ ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ და ნეიტრალურ არასამთავრობოებს.

„ქართული ოცნება“ სულ მარტო დარჩა. მმართველი პარტია აპირებს, კონსტიტუცია საკუთარ თავზე მოირგოს. სხვა მძიმე პრობლემებს დაემატა დემოკრატიის შეზღუდვა. ეს უარყოფითად ფასდება, მაგრამ გაუკულმართებული ლოგიკით ერთი პირობით კიდევ შეიძლებოდა ამის ატანა.

***— რას გულისხმობთ?***

— ხელისუფლებას რომ ტერიტორიული მთლიანობა აღედგინა, ეკონომიკა ფეხზე დაეყენებინა და ეთქვა, ძალაუფლების გაზრდას ვაპირებო, ეს ასეთი აუტანელი არ იქნებოდა. ჩვენ უფრო მძიმე რეალობა გვაქვს – 9 აპრილს რუსეთმა მოახდინა ცხინვალის რეგიონის სრული ანექსია, ხოლო ნახევრად ანექსირებულ აფხაზეთში გამოუშვა საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც საზეიმოდ გახსნა რუსეთის საელჩოს უზარმაზარი შენობა.

გიგა ოთხოზორიას მკვლელი აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფება და ქორწილებშიც დადის. ის, ვისაც ოთხოზორიას მკვლელთან დაპირისპირება შეუძლია, ციხეშია. რა რეაქცია აქვს ბოლოდროინდელ მოვლენებზე ხელისუფლებას? არანაირი. ამ სიტუაციაში ცვლიან კანონმდებლობას. შემოაქვთ პარლამენტის პროპორციული არჩევნები, სადაც გადაუნაწილებელ მანდატებს მთლიანად წაიღებს პირველ ადგილზე გასული პარტია. „ქართულ ოცნებას“ უნდა, მომავალ არჩევნებში 30 მანდატით მეტი მიიღოს, ვიდრე 2012 წელს მიიღო. 2016 წლის არჩევნები გაყალბდა. ამ გაყალბებითაც კი „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში აქვს მოსახლეობის 25%-იანი მხარდაჭერა.

### „მმართველი ძალა აკეთებს იმის საპირისპიროს, რასაც ხალხს ჰპირდებოდა“

***— ოპოზიცია აქციებითა და რეგიონებში ჩასვლით იმუქრება. რას მოიტანს ასეთი ცვლილებების დამტკიცება?***

— ადგილობრივ არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“ სრული კრახი ექნება. ამ არჩევნებს ის ვერ გააყალბებს. რეგიონებში ჩასვლა საჭიროა. პოლიტიკოსებმა ხალხს უნდა აუხსნან კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების არსი. ხალხი ხედავს, რომ ყველგან მაღალჩინოსნების ნათესავები არიან დასაქმებული, არის კორუფცია. მმართველი ძალა აკეთებს იმის საპირისპიროს, რასაც ხალხს ჰპირდებოდა. რა უნდა იფიქრონ ადამიანებმა, როცა სუს-ის უფროსის მოადგილეს 3 ვატიკანის ოდენა მიწები ჰქონია?!

***— რეგიონებში იმდენი ადამიანია დასაქმებული გაბერილ შტატებზე, რომ ხელისუფლებას გარკვეული ხალხი მომადლიერებული ეყოლება.***

— უმუშევარი და გაღატაკებული გაცილებით მეტია. ამ ხალხს აღიზიანებს ის, რომ ვიღაცა შტატების გაბერვის ხარჯზე დაასაქმეს. აი, ასე, ამ ყველაფრით, აღადგინა „ქართულმა ოცნებამ“ ქართული ღირსება. ეს მისი ერთ-ერთი დაპირება იყო.

***— ქართული ღირსებისა და პატრიოტიზმის გასაღვივებლად ხელისუფლებას დიდგორობის უქმე დღედ გამოცხადება უნდოდა, მაგრამ ამის წინააღმდეგია თურქეთი.***

— ესეც ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელია. დიდგორის ბრძოლა ჩვენთვის ძვირფასია, მაგრამ გაუგებარია ამ დღის უქმედ გამოცხადება. დასვენების დღეები ისედაც ბევრია. მეორეც, თუ ეს ასე აუცილებლად მიაჩნიათ, მაშინ უკან რატომ დაიხიეს? თურქეთი მეგობარი სახელმწიფოა, მაგრამ რატომ დაჰყვნენ სხვა სახელმწიფოს, თუნდაც, მეგობრის სურვილს? „ქართულ ოცნებაში“ ის ადამიანები არიან, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლამდე ეწინააღმდეგებოდნენ ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას. დღეს იგივე ხალხი თურქეთის ნებას უყოყმანოდ ასრულებს.

***— დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესს. პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ ამ გზით არჩეული პრეზიდენტი მაინც სახელმწიფოს მეთაური და უმაღლესი მთავარსარდალი იქნება.***

— უფლებაშეკვეცილი პრეზიდენტი ისეთივე სახელმწიფოს მეთაური იქნება, როგორი დამოუკიდებელი პარლამენტის თავმჯდომარეცაა ირაკლი კობახიძე. ოღონდ, კობახიძეს კანონით მაინც აქვს უფლებები, პრეზიდენტს კი არ ექნება. აირაის პარტიულ კვლევებს არ ენდობიან, მაგრამ პრეზიდენტის არჩევის საკითხზე ჩატარებულ გამოკითხვას ხომ უნდა მიაქციონ ყურადღება! ამ გამოკითხვით, 92%-ს უნდა, რომ პრეზიდენტი ხალხმა აირჩიოს.

***— ამ პროექტით იკრძალება ბლოკები, საარჩევნო ზღურბლი კი ისევ 5%-იანი იქნება.***

— კონსტიტუციას ცვლიან ისე, როგორც შპს-ს დამფუძნებელს უნდა. ბიძინა ივანიშვილმა ქვეყანა საკუთარ შპს-ს გადააქცია. როცა კატასტროფაა საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში, ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში სრული ჩავარდნაა, „ქართულმა ოცნებამ“ როგორმე უნდა შეინარჩუნოს ძალაუფლება. ამიტომ უქმნიან ბარიერებს სხვა ძალებს.

***— აღნიშნეთ, რომ ხელისუფლებას რეაქცია არ ჰქონია ცხინვალსა და სოხუმში მომხდარ მოვლენებზე. ხელისუფლებამ ამაზე განცხადებები გააკეთა.***

— იმ კატასტროფის ფონზე, რაც აქ ხდება, განცხადებებიც რომ არ გაეკეთებინათ, საერთოდ აბსურდული მდგომარეობა შეიქმნებოდა. საქმე არ კეთდება. ტერიტორიული მთლიანობისკენ ნაბიჯები არ იდგმება. პირიქით, გაუარესებაა. არაფრის მაქნისია არც შერიგების უწყება და არც საგარეო საქმეთა სამინისტრო. მათ არც ერთი ღირებული დოკუმენტი არ მიუღიათ.

გაეროში ჩვენს საქმეს უკრაინა აკეთებს. იქნებ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უკრაინის საგარეო უწყების ფილიალად გვექცია, რომ რამეს მივაღწიოთ? უკრაინამ მოიგო საქმე გაეროს ჰააგის სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ. უკრაინა დაადგა იმ გზას, რომელიც ჩვენ თავის დროზე დავიწყეთ. მაშინ პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის კომისიის თავმჯდომარე ვიყავი. 2008 წელს ომი გვქონდა და ჰააგის სასამართლოში ვერაფერს მივაღწიეთ. საჭირო იყო პროცესის ახლიდან დაწყება. ხელისუფლება ამაზე არ ფიქრობს.

ჩვენი აქტიურობით რუსეთის ძალებს, რომლებსაც სამშვიდობოები ერქვა, ოკუპანტი სახელმწიფოს ჯარი დაერქვა. ეს ტერმინი მსოფლიოში დავამკვიდრეთ. ამ პარლამენტში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისია ძალიან გვიან შეიქმნა. მას არც ერთი სხდომა არ გაუმართავს. 5 წელიწადია, „ოცნება“ რუსეთთან დათმობის პოლიტიკას ატარებს. ივანიშვილს ნათქვამი აქვს, რომ საქართველო არ უნდა გახდეს დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირების ობიექტი. რა შედეგი მოიტანა ასეთმა მიდგომამ, ვხედავთ. „ოცნებას“ უნდა ახალი ცვლილებების შემოტანა. ამ ცვლილებებს ვერ განახორციელებენ იმიტომ, რომ საზოგადოება შეცვლის ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილს. არჩევნების შემდეგ ხშირად ვამბობდი, რომ პოლიტიკური პროცესები ქუჩაში გადაინაცვლებს.

# იგორ გიორგაძის კადრები და მილიონერები ნარმანიას მთავრობაში

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ფაილების შესაძენად, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ჭალიძე.

ჭალიძე განსაკუთრებით იმით არის აღშფოთებული, რომ გარდაბნის გამგეობა მინერალურ წყალს ბიუჯეტის ხარჯზე ყიდულობს.

– გარდაბნის რაიონის მთელ რიგ სოფლებში მოსახლეობას წლებია არ აქვს წყალი, გაზი, გზა. ამჟამად იქ წყალს ყიდულობენ. აქვთ ბევრი სოციალური პრობლემა. უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის დახმარების და პრობლემების მოგვარების ნაცვლად გარდაბნის გამგებელი გოჩა ჯამარაული ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივი ხარჯვითაა დაკავებული.

გასულ წელს გამგეობამ 11..450 ლარად დისპანსერზე დასამაგრებელი 2.000 ბალონით მინერალური წყალი „ბაკურიანი“ შეიძინა და ეს მაშინ, როცა თბილისის გამგეობებშიც ჩვეულებრივი ონკანის წყლით სარგებლობენ, – ამბობს „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელი.

როგორც ჩანს, ყოფილი ფეხბურთელი ჯამარაული ცდილობს, რაიონში ჯანსაღი ცხოვრების წესი დანერგოს.

თეონა ჭალიძის თქმით, მარტში ჩატარებული 15.000 ლარიანი ტენდერით ჯამარაულმა ექსკურსია-ლაშქრობების ორგანიზება შეისყიდა.

– კახეთში, მცხეთაში, ვარძიაში, ყაზბეგში, ხევსურეთში, დაშბაშის კანიონში, სვანეთში, რაჭაში და ქუთაისში 20-20 ადამიანის მოგზაურობაზეა საუბარი. გაუგებარია, რა კრიტერიუმით არჩევს გამგებელი ამ ადამიანებს. ანალოგიური ლაშქრობები 2016 წელსაც აქტუალური იყო და 7.777 ლარი დაუჯდა გარდაბნის ბიუჯეტს 5 ლოკაციაზე ჯამში 102 ადამიანის ექსკურსია, – აცხადებს „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელი.

მისივე ინფორმაციით, ახლახან გოჩა ჯამარაულის ხელმძღვანელობით გარდაბნის მუნიციპალიტეტმა 15.000 ლარად შეისყიდა ესპანური წარმოების სპორტული ტანსაცმელი – 16-16 ერთეული სხვადასხვანაირი მაისური, შორტი, გეტრი, საწვიმარი, შარვალი, ზედა.

გარდაბნის გამგეობას სახალხო და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნაც ჰყვარებია. როგორც ჭალიძე ამბობს, 5 სახალხო და რელიგიური დღესასწაულის აღნიშვნა გარდაბნის მუნიციპალიტეტს 82.638 ლარი დაუჯდა.

გაირკვა ისიც, რომ ჯამარაულის ხელმძღვანელობით 2016 წლის ნოემბერში გარდაბნის მუნიციპალიტეტმა 50.000 ლარად მუსიკალური გახმოვანების აპარატურა შეიძინა.

– მიუხედავად ამისა, მომდევნო ღონისძიებებზე მაინც ქირაობს აპარატურას და გაუგებარია, რატომ სწევს დამატებით ხარჯებს, – კითხულობს თეონა ჭალიძე.

საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება დღესასწაულების მოსაწყობად დახარჯული თანხებიც. დღესასწაულები ტრადიციული სუფრის გარეშე არ სრულდება. სუფრას ხორცი სჭირდება და გამგეობა სულ 300 ლარად შეფასებულ ყოჩებს ყიდულობს.

# ოზურგეთში ძლიერ ქარს მსხვერპლი მოჰყვა



ოზურგეთში ძლიერმა ქარმა მამაკაცი იმსხვერპლა. გრიბოედოვის ქუჩაზე მცხოვრები მურმან ნაცვლაძე სახლის სახურავზე ასვლას ცდილობდა, თუმცა ქარმა გადმოაგდო და ადგილზე დაიღუპა.

როგორც „ინტერპესნიუსს“ გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ განუცხადა, გარდა გარდაცვლილისა, ძლიერი ქარის გამო ფიზიკური დაზიანება მიიღო კიდევ ერთმა მოქალაქემ.

– მურმან ნაცვლაძე მასწავლებელი იყო კოლეჯში, ახალგაზრდა კაცი. მიადგა კიბე სახლს, რომ სახურავზე არსებული დაზიანება გაესწორებინა. ამ დროს მოცურდა კიბე და დაიღუპა ადგილზე. დაშავებული გვყავს კიდევ ერთი მოქალაქე, შევარდნაძეა გვარად. ის მიდიოდა გზაზე, ამ დროს დაეცა ნაძვი და სამი პირიდან ერთი მოქალაქე დაზიანდა. მას აქვს ხერხემლის მალები და ნეკნები დაზიანებული, – განაცხადა გია სალუქვაძემ.

რაც შეეხება ძლიერი ქარისგან მიყენებულ ზარალს, გურიის გუბერნატორის ინფორმაციით, გრიგალმა მრავალბინიან და ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებს სახურავები ახადა, ქალაქის თითქმის ყველა ქუჩაზე მოგლიჯა ხეები და დააზიანა ავტომობილები. ასევე, დაზიანდა გაზმომარაგების მილსადენები, ელექტროგადამცემი სადენები და ბოძები.

– რაც შეეხება ზარალს, ჯერ საუბარი არ შეიძლება. შენობა-ნაგებობების სახურავებიდან ხეების მოცილება ამ ეტაპზე ვერ ხორციელდება, რადგან წვიმს. გზები აღდგენილია, ელექტრომომარაგება ეტაპობრივად დაწყებულია, რაც შეეხება ზარალს, ამას დათვლა უნდა და შემდეგ გვეცოდინება. 150-ზე მეტი სახლია დაზიანებული სხვადასხვა ხარისხით, მხოლოდ ქალაქში, – განაცხადა გია სალუქვაძემ.

# აჭარაში ძლიერმა ქარიშხალმა საცხოვრებელი სახლი დაშალა



აჭარაში, სოფელ ჭარნალში ძლიერმა ქარიშხალმა საცხოვრებელი სახლი დაშალა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ადგილობრივმა თამაზ შაინიძემ განუცხადა.

მისი თქმით, ხის სახლი, რომელიც მის ძმას – მერაბ შაინიძეს ეკუთვნოდა, ქარიშხლის შედეგად მთლიანად დაშლილია და ოჯახი ღია ცის ქვეშ დარჩა. ასევე, სტიქიამ სოფელში რამდენიმე სახლს სახურავი გადახადა.

– ძლიერი ქარბორბალა იყო. გადმოაგდო სახლი, მთლიანად დაშლილია. ხოლო, გვერდით სახლებზე სახურავები არის ახდილი, – აცხადებს თამაზ შაინიძე.

შაინიძეების ოჯახი ადგილობრივი მთავრობისგან დახმარებას ითხოვს.

# ძლიერმა ქარმა ზუგდიდიც დააზარალა



ძლიერმა ქარმა ზუგდიდიც დააზარალა. ყოფილი რაიონული საავადმყოფოს ეზოში, ასევე, სოფელ ინგირში, ქარმა მრავალწლიანი ხეები მოგლიჯა, რამაც ელექტროგადამცემი ხაზების დაზიანება გამოიწვია.

ამის გამოც როგორც ქალაქის ტერიტორიაზე, ისე 20-ზე მეტ სოფელში ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა. ქარმა ასევე რამდენიმე სახლს სახურავი გადახადა.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტი კი სტიქიით მიყენებულ ზარალს ითვლის.

# „ქართული მიწის გაყიდვა ქვეყნის ღალატია“

## თენგიზ დიხამინჯია: „ჩვენ ახალი კონსტიტუცია გვჭირდება“

გულიკო ბალაძე

კონსტიტუციის ახალ პროექტს მალე პარლამენტი განიხილავს. სადავო საკითხთა შორის მიწის გაყიდვის დაშვება-არდაშვების საკითხიცაა. ხელისუფლება აცხადებს, რომ მიწის გაყიდვას არ აპირებს. არასამთავრობოების ერთი ნაწილი ამბობს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვა უნდა დავუშვათ, საზოგადოება კი ღელავს და მიწის გაყიდვის სასტიკი წინააღმდეგია. პოლიტიკოსი **თენგიზ დიხამინჯია** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ მიწის საკითხი ქართველი ერის ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე უნდა დარეგულირდეს.

– მიწის გაყიდვა არ შეიძლება, რადგან ძალიან მოკლე ხანში საქართველოს მოსახლეობა თავის ტერიტორიაზე ხიზანი გახდება. დაიწყება იმიგრაცია. მიწას ხელში ჩაიგდებენ ძლიერი მოთამაშეები, მილიარდერები და ულტრანაციონალური წარმონაქმნები, რასაც საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული კლება მოჰყვება. ქართული დემოგრაფიული ბალანსი კიდევ უფრო უფსკრულისკენ წავა, – აცხადებს თენგიზ დიხამინჯია.

***– ბატონო თენგიზ, როგორ ფიქრობთ, მიწის საკითხი როგორ უნდა დარეგულირდეს?***

– მიწის საკითხი უნდა დარეგულირდეს ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე. მაღალი დონის ექსპერტები, პაატა კოღუაშვილი და მთელი სამეცნიერო კოჰორტა, პოლიტიკოსები და იურისტები, თანამედროვე საზოგადოებაში მიღებულ, მთელი ცივილიზებული სამყაროსათვის, ევროპასა თუ აშშ-ში მიღებული სპეციფიკის გათვალისწინებით სთავაზობენ მიწის საკითხის დარეგულირებას.

პაატა კოღუაშვილი შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარესა და საკონსტიტუციო კომისიას. ამ საკითხზე იყო მსჯელობა. ბუნდოვანი, გაურკვეველი მდგომარეობაა – ნაწილი ემხრობა საკითხის დარეგულირებას ეროვნული ინტერესების შესაბამისად, როგორც მარადიული, ქართული ინტერესები მოითხოვს. მეორენი ამ საკითხს უყურებენ სარგებლობის მიღების თვალსაზრისით, ამბობენ, რომ მიწის საშუალებით ფული და ინვესტიციები შემოვა. ამიტომ გაორებულ, გაურკვეველ მდგომარეობაში არიან. პარლამენტისა და საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ თითქოს მხარი დაუჭირა, მაგრამ ჩუგოშვილი და გარკვეული გუნდი სხვა აზრზე დგანან.

***– საზოგადოებაში აზრი რომ არის გაყოფილი, როგორც ჩანს, ხელისუფლებასაც უჭირს ამ საკითხის გადაწყვეტა. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია (ლიბერტარიანული ეკონომიკის მომხრეები) აცხადებს, რომ თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვა აიკრძალება, ქვეყანაში ინვესტიციები შემცირდება.***

– ეს ჩვეულებრივი უცოდინრობაა. ამათი უბედურება ისაა, რომ ვერცერთ დარგში რეფორმებს ვერ ატარებენ. როდესაც რეფორმებს ვერ ატარებ და ქვეყანა ჭაობიდან ვერ ამოგყავს, უნდა ჩადო უძრავ-მოძრავი ქონება. ეჭვი მაქვს, რომ ეს დაკავშირებულია ეკონომიკურ მაგნატებთან. ვფიქრობ, მათი დაქირავებული, უნიჭო ხალხია და ბნელი, შეზღუდული ორგანიზაციების დაკვეთას ასრულებენ. აქედან გამომდინარე, სურათი იკვეთება.

***– ვის გულისხმობთ?***

– ვისაც სურს, რომ ქართული მიწა გაყიდოს. აქ საქმე ძალიან რთულადაა. მიწის გაყიდვა ქვეყნის ღალატია.

***– თქვენ ამბობთ, ღალატიაო, მაგრამ ხელისუფლება ამბობს, რომ მიწის გაყიდვაზე თანახმა არ არის, ანუ მიწას არ ყიდის და რატომ საუბრობთ ღალატზე?***

– სანამ კონსტიტუციაში არ აისახება, სანამ მიწის სტატუსი არ განისაზღვრება და არ გამოჩნდება, როგორ რეგულირდება ეს საკითხი, მანამდე ეს თემა მანიპულაციას იქნება დაქვემდებარებული. უცხოელები (ნორვეგიელი თუ ავსტრიელი ინვესტორები) ამბობდნენ, კონსტიტუციით მიწის გაყიდვა არ იკრძალებაო და საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა. ხელისუფლება კი გაურკვეველ მდგომარეობაშია, რაც კიდევ ახალ პრობლემებს გამოიწვევს და ძალიან ცუდი გამოვლინებები მოჰყვება.

***– საკონსტიტუციო სასამართლომ სწორედ იმიტომ გააუქმა მორატორიუმი მიწის გაყიდვაზე, რომ კონსტიტუციაში არ იყო ჩაწერილი მიწის გაყიდვის აკრძალვის შესახებ.***

– ამიტომ ახლა უნდა ჩაიწეროს. გაყიდვა შეაჩერეს, მაგრამ შეჩერებით საქმე არ კეთდება. ეს უნდა ეყრდნობოდეს ფუნდამენტურ გადაწყვეტილებებს. 1995 წლის კონსტიტუციაში არის ფუნდამენტი. იმის საწინააღმდეგო გააკეთა შემდგომ სააკაშვილის ხელისუფლებამ და ის მუხლი, ინტერპრეტაციის საშუალებას რომ იძლეოდა, გააფართოვა. შემდგომ დაიწერა საჩივრები და ახალი მოთხოვნები გაჩნდა. ამიტომ მთავრობაც გაორებულია.

***– საზოგადოებაც გაყოფილია. საზოგადოებაშიც აზრთა სხვადასხვაობაა.***

– საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არ არის.

***– არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი ეთანხმება მიწის გაყიდვას, ნაწილი – არა.***

– თუ საზოგადოებას ერთკაციან ორგანიზაციას დაარქმევ, რომლებიც გამოვლენ და ტელევიზიების უზურპაციას მოახდენენ, ეს არ არის საზოგადოების გაყოფა. მიწის საკითხში საზოგადოება მთლიანია.

***– მაშინ, როგორ უნდა დარეგულირდეს მიწის საკითხი?***

– მიწის ხელაღებით გაყიდვა არ შეიძლება. არსებობს მიწის იჯარით გამოყენება. მიწის კანონი უნდა იყოს შემოღებული, მიწის კოდექსი უნდა დაიწეროს და ამ გზით უნდა მოხდეს მიწის საკითხის დარეგულირება. მიწის გაყიდვა დაუშვებელია. მიწის საკითხი არანაირ ინვესტიციებთან არ არის დაკავშირებული. ინვესტიციების შემოსვლა სხვა რეფორმებს უკავშირდება.

***– მაშინ გვითხარით, რატომ არ უნდა იქნეს დაშვებული სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვა?***

– მიწის გაყიდვა იმიტომ არ შეიძლება, რომ ძალიან მოკლე ხანში საქართველოს მოსახლეობა თავის ტერიტორიაზე ხიზანი გახდება, დაიწყება იმიგრაცია. მიწას ხელში ჩაიგდებენ ძლიერი მოთამაშეები, მილიარდერები და ულტრანაციონალური წარმონაქმნები, რასაც საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული კლება მოჰყვება და ქართული დემოგრაფიული ბალანსი კიდევ უფრო უფსკრულისკენ წავა.

ხელისუფლება კი ბუნდოვან მდგომარეობაშია და გადაწყვეტილება ვერ მიუღია. ხელისუფლებას ძალიან მოკლე ხანში მოუწევს სააკაშვილის ხვედრის გაზიარება, თუ იმ ცივილიზებულ მოდელს არ დაუჭერენ მხარს,



რომელსაც პროფესიონალური, ინტელექტუალური ნაწილი სთავაზობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ამ საკითხის რეფერენდუმზე გატანას მოვითხოვთ.

***– ანუ მიწა არ უნდა გაიყიდოს.***

– ამიტომ მოვუწოდებ, წამოვიდნენ გონივრულ თანამშრომლობაზე, გონივრულ კომპრომისებზე. საკონსტიტუციო კომისია კონსტიტუციის ძირეულ გადასინჯვას არ ახდენს, ელემენტარულ საკითხებზე მსჯელობს. იმავე კონსტიტუციის პროექტში არ არის მითითებული, აფხაზეთის მიწა ვის ექვემდებარება.

იგივე ხდება ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებითაც. საერთოდ, არანაირი პოზიცია არ გამოუხატავთ ახლახან ჩატარებული ე.წ. რეფერენდუმთან, ცხინვალის რეგიონისთვის ალანიის დარქმევასა და ე.წ. ალანიის სახელმწიფოს წარმოქმნასთან დაკავშირებით. ამ თემებზე პოლემიკა არ მიმდინარეობს.

***– კონსტიტუციაში, ალბათ, განსაზღვრული უნდა იყოს ცხინვალისა და აფხაზეთის სტატუსი და, ალბათ, განსაზღვრულიც იქნება.***

– რა თქმა უნდა, განსაზღვრული უნდა იყოს, რეგიონული საკითხი როგორ არის გადაწყვეტილი, რა უფლებამოსილებებია, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიწის პრივატიზაცია როგორ ხდება. აუცილებელია იურიდიული ომის წარმოება როგორც აფხაზეთში, ისე ცხინვალის რეგიონში მიმდინარე ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი პროცესების მიმართ.

მეათეხარისხოვანი საკითხების წინ წამოწევა არ არის მნიშვნელოვანი. პრეზიდენტს რა უფლებამოსილება მივანიჭოთ, მეათეხარისხოვანია იმ საკითხებთან შედარებით, რომლებზეც ვისაუბრე და ხელისუფლებამ უნდა მოაგვაროს.

პარლამენტმა დადგენილებები უნდა მიიღოს და ამაზე სჯა-ბაასი უნდა მიმდინარეობდეს. ოკუპირებულ ტერიტორიებზე პრივატიზაცია როგორ ხდება, რა ობიექტების პრივატიზაციას ახდენენ, რა უძრავ-მოძრავ ქონებას ყიდიან, როგორ ფასდება, უნდა ირკვეოდეს. ამაში სტრასბურისა თუ ლონდონის სასამართლოები უნდა ჩავრთოთ და მოწინააღმდეგეები ავაფორიაქოთ, თუმცა ამ თემებზე, საერთოდ, გაფაჩუნებაც არ ისმის. უნდა ითქვას, აფხაზეთი რა არის, რა სტატუსით იყოს, ვის შემადგენლობაში და რა იურიდიული უფლებები განესაზღვროს.

***– ცხინვალის რეგიონში სააკაშვილი დროს შექმნილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია რომ არის?***

– ეგ ხომ საერთოდ დანაშაული იყო. 2012 წელს ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, თქვა, სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟს მოვახდენო, მაგრამ არანაირი სერიოზული გადაწყვეტილება ამ კუთხით არ მიუღია. დატოვებულია სანაკოევის ადმინისტრაცია, ფაქტობრივად, არსებობს ის დადგენილებაც, რომელიც ნაციონალების პარლამენტმა მიიღო, ცხინვალის რეგიონში „სამხრეთ ოსეთის“ დროებითი ადმინისტრაციის შექმნის შესახებ, არ გაუუქმებიათ და იმ შედეგების ლიკვიდაცია არ მოხდა, რაც სააკაშვილის დროს კონსტიტუციური გადატრიალების სახით განხორციელდა. უარყოფითი შედეგების ნეიტრალიზება არ ხდება.

ყოველთვის დე ფაქტო მოულოდნელობის წინაშე ვართ. ეს უსაშველოდ ვერ გაგრძელდება. უნდა მოხდეს სააკაშვილის დროს მომხდარი კონსტიტუციური გადატრიალების ლიკვიდაცია. ამიტომ უნდა განხორციელდეს არსებული კონსტიტუციის არა შესწორება, არამედ ახალი კონსტიტუციის შემუშავება.

# თენგიზ შარმანაშვილი: „ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით ავტორიტარიზმის საფრთხე მცირდება“

## „ჩვენი გზა არის ევროპული გზა“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი **თენგიზ შარმანაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.

***– ბატონო თენგიზ, როგორ შეაფასებთ იმ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელთაც კომისიამ უკვე კენჭი უყარა? ამ რედაქციის მიხედვით საქართველო სრულად ხდება საპარლამენტო რესპუბლიკა?***

– კომისიამ ძალიან საინტერესო დოკუმენტს უყარა კენჭი. მართლაც კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი შემოდის აღნიშნული კონსტიტუციის რედაქციით. განხორციელებული ცვლილებები დაცლილია იმ ელემენტებისგან, რომლებიც არ არის დამახასიათებელი საპარლამენტო რესპუბლიკისთვის. სამწუხაროდ, ეს ელემენტები ჩარჩენილი იყო 2010 წლის ცვლილებების დროს მიღებულ ვარიანტში.

***– რას გამოყოფდით განსაკუთრებით?***

– ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ გაზრდილი არის პარლამენტის როლი. ასევე ზუსტად არის გამიჯნული პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებები. ჯერ კიდევ 1995 წლის კონსტიტუციის რეგულაციები იყო ჩარჩენილი პრეზიდენტის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, რაც დღეს გამოსწორებულია. იმის გამო, რომ ძალიან ბევრი შესწორება და დამატება შედიოდა კონსტიტუციაში, ისე იყო ეს რეგულაციები არეულ-დარეული, ერთმანეთში აღრეული, რომ კონკრეტული ნორმის მოძებნაც კი ჭირდა. ეს ყველაფერი გასწორდა. ამ თვალსაზრისითაც წინგადადგმული ნაბიჯია.

***– ეს უფრო ტექნიკური მხარეა. როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ მოხდა კომისიის შემადგენლობის შემცირება, რამაც ოპოზიციის კრიტიკა გამოიწვია. რატომ გახდა საჭირო კვორუმის ცვლილება?***



– კომისიის 43 წევრმა მისცა აღნიშნულ ცვლილებას ხმა.

***– 8 წევრი წავიდა წინააღმდეგი.***

– დიახ, მაგრამ დებულებაში წერია, რომ გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ამიტომ ჩემთვის სრულიად გაუგებარია ეს დებატები და არ ვაპირებ ამ დებატებში შესვლას.

***– რამდენად რეალურია, რასაც უმრავლესობის წარმომადგენელი მდინარაძე აცხადებს, რომ ეს იყო ერთადერთი საშუალება, რომ ექსპერტებისა და არასამთავრობო სექტორის ალტერნატიული წინადადება გასულიყო?***

– მიღებული გადაწყვეტილება მართლაც ხელს უწყობდა ალტერნატიული წინადადებების გასვლას. ეს ძალიან მარტივად დასანახია. ამიტომ, მე არაკომპეტენტური ადამიანების მსჯელობაზე მიჭირს პასუხის გაცემა.

***– თქვენ ამბობთ, რომ ეს არაკომპეტენტური მსჯელობაა?***

– რა თქმა უნდა, არაკომპეტენტური მსჯელობაა, რადგან ხელისგულზე დევს ყველაფერი.

***– ბატონო თენგიზ, საარჩევნო სისტემაზე მინდა გკითხოთ: გადაუნაწილებელი მანდატები, რომლებიც პირველ ადგილზე გასულ პარტიას მიაქვს, პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, „მცირე ბონუსია“, რომელიც პოლიტიკური სტაბილურობისთვის არის საჭირო. რა უფრო მნიშვნელოვანია – ხელისუფლების სტაბილურობა თუ მანდატების სამართლიანად გადანაწილება?***

– ხელისუფლების განხორციელება შეუძლებელია არასტაბილურ გარემოში.

***– რევოლუციის გზა რომ რჩება ოპოზიციას?***

– არა, არჩევნების მოგების გზა არის ხელისუფლების შეცვლის გზა.

***– ბატონო თენგიზ, სკეპტიკური დამოკიდებულებაა საპარლამენტო რესპუბლიკის მიმართ, რადგან ჩვენ არ გვაქვს წმინდა საპარლამენტო რესპუბლიკის ტრადიციები. გაამართლებს ეს სისტემა?***

– საპრეზიდენტო რესპუბლიკის ტრადიციებიც არ გვაქვს ჩვენ. ჩვენი გამოცდილება, რომელიც აქამდე დაგვიგროვდა მმართველობის კუთხით, არის უარყოფითი, ნეგატიური, მეტიც, ყოვლად დაუშვებელი. 2010 წლის ცვლილებებით მოხდა არა 1995 წლის კონსტიტუციის შეცვლა, არამედ 2004 წლის შეტანილი ცვლილების – სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკის – გადახედვა. თუმცა, 95 წლის კონსტიტუციამაც გვაჩვენა, რომ ისეთი ტიპის საპრეზიდენტო რესპუბლიკა შედგა, სადაც პოლიტიკური კრიზისების განმუხტვის მექანიზმები არ იდო ამავე კონსტიტუციაში.

ჩვენ ვნახეთ, რომ პრეზიდენტი ავტორიტარული მმართველობისკენ იყო მიდრეკილი, შემდეგი პრეზიდენტის მმართველობის მოდელიც მივიდა ავტორიტარიზმის ელემენტებამდე. ჩვენ მრავალი წლის გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ საპრეზიდენტო მოდელის ორივე ვარიანტი ავტორიტარიზმის გამოვლინებამდე მივიდა.

ევროპული სახელმწიფოები, რომელთა 90%-შიც საპარლამენტო მმართველობაა, ამ მმართველობის მოდელზე გადავიდნენ იმიტომ, რომ თავისი არსით საპარლამენტო მოდელი ყველაზე ნაკლებად არის მიდრეკილი ავტორიტარიზმისკენ.

ჩვენი გზა არის ევროპული გზა და მიმაჩნია, რომ ეს არის სწორი გზა. ამაზე მეტყველებს ვენეციის კომისიის 2010 წლის დასკვნაც. შინაგანად აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ საპრეზიდენტო მოდელი, გნებავთ ნახევრად საპრეზიდენტო მოდელი, ავტორიტარიზმის დიდი საფრთხეების შემცველია და იქნება მომავალშიც. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ მომხდარი ცვლილებები სწორია.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**
**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# რატომ გამყარდა ლარი?



ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებით მყარდება. მიმდინარე თვის დასაწყისში თუ ერთი ამერიკული დოლარის ღირებულება 2.43 ლარი იყო, ეროვნული ბანკის მონაცემებით, ის 2.39 ლარი ღირს. აღსანიშნავია, რომ ლარის კურსის მსგავსი მაჩვენებელი ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა. ბოლო 6 თვის მანძილზე ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში პირველად ჩამოცდა 2.4-იან ნიშნულს.

გამყარების საფუძველი, წლის დასაწყისში ეკონომიკაში მიმდინარე დადებითმა პროცესებმა შექმნა. კერძოდ, მართალია, იანვარ-მარტში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იმპორტი 15%-ით გაიზარდა, თუმცა ამავე პერიოდში ექსპორტი გაიზარდა 30%-ით.

ზრდა დაფიქსირდა ფულადი გადმორიცხვების კუთხითაც. მარტში უცხოეთიდან ფულადი გზავნილები 23%-ით გაიზარდა, რაც თებერვალთან შედარებით 19%-იანი ზრდაა. ყველაზე მეტი უცხოური ვალუტა რუსეთიდან გადმოირიცხა – 38 მლნ დოლარის ოდენობით.

აღსანიშნავია ტურიზმის სექტორიც, რომელიც ქვეყანაში სავალუტო შემოდინებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტატისტიკის თანახმად, 2016 წელი და 2017 წლის დასაწყისი განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა, როგორც ტურისტების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით, ისე ტურიზმიდან მიღებული სავალუტო შემოდინების მიმართულებით. კერძოდ, 2017 წლის მარტის მონაცემებით, საქართველოს 511 045 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 13,1%-ით, ანუ 59 308 ადამიანით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, მარტში იმ უცხოელი ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაყვეს საქართველოში, 219.642 შეადგინა, რაც 28,6 %-ით, ანუ 48 807-ით მეტია, 2016 წლის მარტის მაჩვენებლებზე.

აქვე შეიძლება ითქვას, რომ სესხების გალარების შედეგად იმ ადამიანების რაოდენობა შემცირდა, ვისაც სესხები დოლარში ჰქონდათ, შესაბამისად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ დოლარზე მოთხოვნაც გარკვეულწილად შემცირებულია გასულ პერიოდთან შედარებით.

ყველაფერთან ერთად, ლარის გამყარების მთავარ ინდიკატორად სახელმწიფო ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულება მიიჩნევა. ფინანსთა სამინისტრომ ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად, 2017 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტში 1 მილიარ ლარზე მეტი შემოსავლების მიღება მოახერხა. გადაჭარბებით შესრულებულმა ბიუჯეტმა განაპირობა მიმოქცევაში არსებული ლარიდან 1 მილიარდი ლარის ფინანსთა სამინისტროს ანგარიშზე მობილიზება, რამაც, ბუნებრივია, თავისი ზეგავლენა იქონია ლარის გამყარების პროცესში.

ლარის როგორც მკვეთრად გამყარება, ასევე მკვეთრად გაუფასურება, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისთვის უფრო მეტად უარყოფითი შედეგების მომტანია, ვიდრე დადებითის. შესაბამისად, მონეტარულმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ კურსი სტაბილურ ნიშნულზე შენარჩუნდეს. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი ლარი-დოლართან მიმართებაში 2.5 ნიშნულიან პუნქტზეა დაგეგმილი, სასურველია, რომ წლის ბოლომდე კურსმა მნიშვნელოვანი მერყეობები არ განიცადოს.

იმ შემთხვევაში, თუ ლარის გამყარება გაგრძელდა ან შენარჩუნდა, ბუნებრივია, წარმოიშობა საბიუჯეტო პრობლემები, რაზეც კონსტიტუციურად პასუხისმგებელი მონეტარული ხელისუფლება, ანუ ეროვნული ბანკია. შესაბამისად, ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ სავალუტო ინტერვენციებს სტაბილური კურსის შესანარჩუნებლად ამ პროცესებში გადამწყვეტი როლი ეკისრება. ამ მხრივ ეროვნული ბანკის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული სავალუტო შესყიდვები, რომლის შედეგადაც მიმოქცევიდან ჯამში 19 მილიონ 730 ათასი დოლარი იქნა ამოღებული, შესაძლოა დაგვიანებულ ქმედებად ჩაითვალოს, ვინაიდან, წლის დასაწყისში, როცა ლარის კურსმა მის ისტორიულ მაქსიმუმს, 2,76-ს მიაღწია დოლართან მიმართებაში და ამით ის კრედიტორები კიდევ უფრო მეტად დაზარალდნენ, ვისაც დოლარში ჰქონდათ ვალდებულებები, მაშინ ეროვნულმა ბანკმა არაფერი მოიმოქმედა კურსის დასაჭერად, სიტუაცია არ განიმუხტა, შესაბამისად, იზარალეს მოქალაქეებმა და იზარალა ეკონომიკამ.

ამასთან, გაუგებარია და ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს რეფინანსირების სესხების ისტორიულად გაზრდილი მაჩვენებელი, რომელმაც მილიარდ 743 მილიონს მიაღწია და ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აგრეგატის – MI-ის 28%-ს შეადგენს, რაც ევროზონის და ასევე საქართველოს სამეზობლო ქვეყნებში არსებულ მაჩვენებლებთან შედარებით გაცილებით მაღალია. ის ფაქტი, რომ კომერციულ ბანკებს ამ მოცულობით ლიკვიდობის პრობლემა აქვთ, საბოლოო ჯამში ბანკების კლიენტებს და მთელს ეკონომიკას აზარალებს. სწორედ ამიტომ ეროვნული ბანკის მხრიდან საჭიროა მეტი სიცხადე რეფინანსირების სესხების მიზნობრიობასთან დაკავშირებით.

# „ფარმაცევტულ ბაზარზე საფასო პოლიტიკა კარტელური გარიგებით ყალიბდება“

ფარმაცევტულ ბაზარზე საფასო პოლიტიკა კარტელური გარიგებით ყალიბდება – ამის შესახებ განცხადება რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „პროფესიონალები“ „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ ვიცე-პრეზიდენტმა ვეფხია გიორგაძემ გააკეთა.

– მედიკამენტების ფასებთან დაკავშირებით კვლევა ჩავატარე. ავიღე ყველაზე მოთხოვნადი 10 მედიკამენტი – ფასებში სხვაობა საერთოდ არ არის კომპანიებს შორის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს არის კარტელური შეთანხმება და საფასო პოლიტიკა ყალიბდება ერთმანეთთან შეთანხმებით.

2010-2014 წლებში მედიკამენტებზე ფასების ზრდის ტენდენცია გვქონდა, 2015 წლის მეორე ნახევარში დაიწყო შემცირება და შემდეგ შეჩერდა. საერთოდ პიკი იყო 25%-იანი ზრდა და შემდეგ ქვემოთ წამოვიდა. 2017 წელს ლარი პრინციპში არ გაუფასურებულა, ჩვენ ვიცით, რომ 90% მედიკამენტების არის იმპორტული და დოლარზე ხდება შეძენა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ინფლაცია, რაც პირდაპირ მოქმედებს ფასებზე, – განაცხადა გიორგაძემ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ბაზრის“ დამფუძნებლის გიორგი ლომინაძის თქმით კი, ფარმაცევტულ ბაზარზე პრობლემები არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოშია. როგორც მან რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას განაცხადა, მსოფლიოში მედიკამენტების მწარმოებლები სახელმწიფოს მხრიდან მონოპოლისტურ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულები.

– როცა ფარმაცევტულ ბაზარზე ვსაუბრობთ, მხოლოდ საქართველოთი ვერ შემოვიფარგლებით. ამ სფეროში ფასწარმოქმნა ერთ-ერთია, რაც თავისუფალი ბაზრის პრინციპებისგან ძალიან შორს დგას. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, თუმცა მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ მედიკამენტების მწარმოებლები სახელმწიფოს მხრიდან მონოპოლისტურ მდგომარეობაში არიან ჩაყენებული. სახელმწიფო აწესებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებას, მას შემდეგ, რაც კომპანია რაიმე ახალ წამალს გამოიგონებს და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეს კომპანია არის მონოპოლისტი ბაზარზე. ეს არის ძალადობრივი მონოპოლი და ჩვენ კარგად ვიცით, რომ ასეთ პირობებში ფასების კლება არ ხდება. ამის არგუმენტად იყენებენ, რომ ფარმაცევტულ კომპანიებს, რომლებიც ამ წამლებს იგონებენ, უნდა ჰქონდეთ დაინტერესება.



თუმცა ამის საპირისპიროა, რომ როდესაც გამომგონებელი კომპანია შემოდის ბაზარზე, ის ისედაც მარტოა დასაწყისისთვის და შეუძლია მაქსიმალური მოგება ნახოს კონკურენტების გამოჩენამდე, ეს მოგება იქნება გამართლებული. ამის შემდეგ სხვა კომპანიებიც იწყებდნენ წამლის წარმოებას. როდესაც ინტელექტუალური საკუთრება არ არსებობს, ზოგადად პროგრესი ხდება უფრო მარტივად. თუ რაღაც წამლის ინტელექტუალური საკუთრება არ არის დაცული, სხვა კომპანიებს შეეძლებათ ამ წამლების მოდიფიცირება, რამაც შესაძლოა, უკეთეს შედეგამდე მიგვიყვანოს. ამით ყველაზე მეტად იგებს მომხმარებელი. ჩემი აზრით, ეს უფლება არის ყალბი და გეტყვით, რატომ – თუკი რაღაცის წარმოება შეიძლება დაუსრულებლად, მასზე საკუთრების უფლება არ შეიძლება ვრცელდებოდეს. კერძო საკუთრების უფლება სწორედ იმიტომ მოიგონეს, რომ არ ყოფილიყო კონფლიქტი ადამიანებს შორის და საკუთრება ყოფილიყო შეზღუდული რაოდენობის, – განაცხადა გიორგი ლომინაძემ.

# „ყაზტრანსგაზმა“ საქართველოს ხელისუფლებას სასამართლოში უჩივლა

„ყაზტრანსგაზმა“ საქართველოს ხელისუფლებას სასამართლოში უჩივლა. როგორც ყაზახური მედია წერს, კომპანიამ ვერ შეძლო საქართველოში შვილობილის გაყიდვა და ახლა მის დასაბრუნებლად იბრძვის. როგორც „ყაზმუნაი გაზის“ ხელმძღვანელმა საუატ მინბაევმა გამოცემა abctv.kz-ს განუცხადა, „ყაზტრანსგაზმა“ საარბიტრაჟო სასამართლოში „ყაზტრანსგაზ თბილისის“ დასაბრუნებლად სარჩელი შეიტანა.



– პროცესი დაწყებულია და ეს საკმაოდ დიდ დროს წაიღებს. შეიძლება, მოვილაპარაკოთ, შეიძლება გავაგრძელოთ პროცესი. ამის პროგნოზირება ჩემთვის შეუძლებელია, – განაცხადა „ყაზმუნაი გაზის“ ხელმძღვანელმა.

Global Arbitration Review-ის ინფორმაციით, სადავო თანხა 180 მილიონი დოლარია.

როგორც ყაზახური მედია წერს, 2016 წლის მარტში „ყაზტრანსგაზმა“ მიიღო წინადადება „ყაზტრანსგაზ თბილისის“ გაყიდვასთან დაკავშირებით ქართველი ინვესტორისგან, თუმცა, შეთანხმება ვერ შედგა.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ საარბიტრაჟო შეტყობინება უკვე მიიღო და ამჟერად უწყება შესწავლის ეტაპზე იმყოფება. მინისტრის მოადგილემ მარიამ ვალიშვილმა „საქმის კურსთან“ საუბრისას განაცხადა, რომ ყაზახური მხარე ინვესტიციების ანაზღაურებას ითხოვს.

– შეტყობინება მოგვივიდა და შესწავლის ეტაპზე ვართ. ჩვენ მუდმივად ვესაუბრებოდით ყაზახურ მხარეს ყაზახური მენეჯმენტის დაბრუნებაზე, ეს იყო ჩვენი სურვილიც და მზაობაც, მაგრამ სამწუხაროდ, ეს გადაწყვეტილება მიიღეს, – ამბობს ვალიშვილი.

2006 წელს „ყაზტრანსგაზმა“ თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანია „თბილგაზი“ 12 მილიონ 500 ათას დოლარად შეიძინა.

2009 წლის მდგომარეობით კი „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ 80 მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდა, აქედან 68 მილიონი – საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიმართ. კომპანიის მიერ დაგროვილი ვალების ამოღების მიზნით, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2009 წელს „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ სპეციალური მმართველი დანიშნა.

# კოკა-კოლას წარმოება მცხეთაში გადააქვს

კოკა-კოლა წარმოების მცხეთაში გადატანას გეგმავს – მცხეთის გუბერნატორი გოჩა ზეიკიძე „საქმის კურსთან“ საუბარში ამბობს, რომ შესაბამისი სამუშაოები წელსვე დაიწყება.



– წელს გაიხსნება ლიდერ ფუდის თითქმის 10 მილიონიანი, ევროპული დონის ქარხანა, რომელიც 120 დასახელების უმაღლესი ხარისხის ხორცპროდუქტებს აწარმოებს. წინასწარი მონაცემებით, 80 მარტო დისტრიბუციის მანქანა ეყოლებათ. დასაქმდება ადგილობრივი კადრები, რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესო თემაა.

კოკა-კოლა აპირებს წელსვე დაწყებას სამუშაოების და ჩვენთან გადმოაქვს წარმოება.

არის ათეულობის საწარმო, რომელიც გახსნის ან მშენებლობის პროცესშია, – განაცხადა გუბერნატორმა.

# 2016 წელს საქართველოში იმპორტირებული ავტომობილების 39% მარჯვენასაჭიანი იყო



მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების იმპორტმა 2016 წელს მთელი იმპორტის 38,9% შეადგინა, ხოლო, რაც შეეხება რეექსპორტს, მარჯვენა საჭიანი ავტომანქანების რეექსპორტი 37%-ით შემცირდა და საერთო რეექსპორტის 8% შეადგინა.

2016 წელს საქართველოდან ექსპორტ-რეექსპორტირებული ავტომანქანების უმრავლესობა კვლავ სომხეთსა (57%) და აზერბაიჯანში (9%) გადის, თუმცა აზერბაიჯანში გაყვანილი ავტომანქანების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 62%-ით შემცირდა, ხოლო სომხეთში გაყვანილი ავტომანქანების რაოდენობა – 25%-ით.

იმპორტიორ ქვეყნებში იაპონია კვლავ ლიდერია. იაპონიიდან იმპორტმა 2016 წელს მთელი იმპორტის 45% შეადგინა.

# კასპის სასურსათო ქარხანას ნატურალური წვენების საამქროსა და სამაცივრე მეურნეობის მშენებლობა შეჩერებული აქვს

კასპის სასურსათო ქარხანას ნატურალური წვენების საამქროსა და სამაცივრე მეურნეობის პროექტი ფინანსების არარსებობის გამო შეჩერებული აქვს.

ამის შესახებ“საქმის კურსს“ კომპანიის ხელმძღვანელმა თამაზ მერაბაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, დაფინანსების მოპოვებას სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით შეეცდებიან.

– ახლახანს წარადგინა გიორგი კვირიკაშვილმა „აწარმოე საქართველოში“ განახლებული პროექტი, სწორედ ამას ველოდებოდით. უახლოეს მომავალში მივმართავთ სახელმწიფო პროგრამას, რომ დაფინანსება მოვიპოვოთ, – განაცხადა კომპანიის ხელმძღვანელმა.

კასპის სასურსათო ქარხნის ხელმძღვანელმა „საქმის კურსს“ გასული წლის ბოლოს განუცხადა, რომ 2017 წელს ნატურალური წვენების საამქროსა და სამაცივრე მეურნეობის მოწყობას აპირებს. თამაზ მერებაშვილმა მაშინ აღნიშნა, რომ მხოლოდ ნატურალური წვენების საამქროსთვის მილიონი ლარი სჭირდება.

## ბოლო ერთი კვირის განმავლობაში საგადასახადო სამართალდარღვევის 435 ფაქტი გამოვლინდა



ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, 17-23 აპრილს, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, საგადასახადო სამართალდარღვევის 435 ფაქტი გამოვლინდა.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 4 288 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 42 ფაქტი; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 34 შემთხვევა; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 359 ფაქტი.

## რუსთავის მესამე საჯარო სკოლაში ნაღმი არ აღმოჩნდა



რუსთავის მესამე საჯარო სკოლაში ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობის თაობაზე შეტყობინება ცრუ აღმოჩნდა.

როგორც სკოლის დირექტორმა ბექა შათირიშვილმა „ინტერპრესნიუსთან" საუბარში განაცხადა, სამართალდამცველებს არ დაუკონკრეტებიათ დეტალები, თუმცა განმარტეს, რომ სკოლაში გამნაღმველების შესვლის საჭიროება აღარ იყო.

## მაკა ჩიჩუას ძმას 4 წელი მიუსაჯეს



მაკა ჩიჩუა: „იარაღი ჩემი ძმის გარდაცვლილ მამას ეკუთვნოდა, ის ფაქტობრივად სამუზეუმო ექსპონატია"

საქართველოს პირველი ლედი მაკა ჩიჩუა აცხადებს, რომ მისი ძმის სახლში აღმოჩენილი იარაღი მგალობლიშვილის გარდაცვლილ მამას ეკუთვნოდა.

ჩიჩუას თქმით, იარაღი გამოუსადეგარი და ძველი იყო.

– კარგად აღნიშნა ადვოკატმა, ის იარაღი, რომელზეც არის საუბარი, ფაქტობრივად სამუზეუმო ექსპონატია. ის ააწყვეს ექსპერტიზაზე, იმიტომ, რომ უვარგისია. მამამისი დაკავებამდე სამი დღის წინ გარდაიცვალა, იმ სახლიდან წამოიღო და ვერ მოასწრო გადაფორმება. ეს მისი ბრალი არის, – განაცხადა მაკა ჩიჩუამ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს პირველი ლედის ძმას, მიხეილ მგალობლიშვილს, 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გადაწყვეტილება მოსამართლე გიორგი არევაძემ გუშინ, 24 აპრილს, გამოაცხადა.

მგალობლიშვილი მიმდინარე წლის იანვარში დააკავეს. მას სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულში ედება ბრალი, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

**ნიუპოსტი**

## განცხადება

**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედების კავშირს ერთჯერადი აუდიტორული მომსახურებისათვის ესაჭიროება აუდიტი. პირობები: 1. მაღალი კვალიფიკაცია; 2. მისაღები ფასი; 3. ოპტიმალური ვადა. მისამართი: თბილისი, ი.ჭავჭავაძის პრ. №17ა.**

**ტელ: 568 09 90 46, 599-91-27-39.**

**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი**

## სუს-მა თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ორი პირი დააკავა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მოქალაქეები ეთერ გ. და მურმან რ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული პირები მოქალაქეს თითქოსდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების ხელშეწყობით, დაბა ბაკურიანში აუქციონის გზით დაბალ ფასში, კონკურენციის გარეშე 815 კვ.მ მიწის ნაკვეთის შეძენაში დახმარებას დაჰპირდნენ, რის სანაცვლოდაც მოსთხოვეს 10.000 აშშ დოლარი.

თაღლითური ჯგუფის წევრებმა მოქალაქეს წინასწარ გამოართვეს 5.000 აშშ დოლარი, რა დროსაც ისინი ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს, ხოლო თანხა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 19-180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე ითვალისწინებს)

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

## ადვოკატი: „მერაბ ლოლობერიძემ შიმშილობა დაიწყო, მისი დაკავება პოლიტიკური ნიშნით მოხდა"



არასამთავრობო ორგანიზაცია „კორუფციასთან ბრძოლის" საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელის მერაბ ლოლობერიძის ადვოკატი ზაზა პაპიძე აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის დაკავება პოლიტიკური ნიშნით მოხდა.

როგორც ზაზა პაპიძე ამბობს, მერაბ ლოლობერიძის დაკავებით პირადად აჭარის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი კახა ბუხრაძე და აჭარის კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ლაშა გოგნიაშვილი არიან დაინტერესებული.

– მერაბ ლოლობერიძეს ბრალი ოფიციალურად ჯერ არ აქვს წარდგენილი. მან შიმშილობა დაიწყო, რადგან უკანონო დაკავებას აპროტესტებს. მის მიმართ მტკიცებულებები გაყალბებულია. სწორედ ამ ცრუ ბრალდების გამო, უკიდურეს ზომას მიმართა.

სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზი როგორც უკვე ვიცით და სახალხო დამცველის წარმომადგენლმაც განაცხადა, შინაგან საქმეთა სამინისტროს კომუნიკაციის მიზეზია. შსს-ს საპატრულო პოლიცია და კრიმინალური პოლიცია ერთიანი სისტემაა და მათ თუ ერთმანეთთან კომუნიკაცია არ აქვთ, ეს მათი პრობლემაა, ამის გამო ადამიანის უფლებები არ უნდა ირღვეოდეს.

მერაბ ლოლობერიძის დაკავება კახა ბუხრაძის, ასევე აჭარის კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის ლაშა გოგნიაშვილის ინტერესში შედიოდა, როგორც თვითონ განმიცხადა, მას ჰქონდა აღნიშნულ პირებთან კომუნიკაცია. მერაბ ლოლობერიძე დეტალებს ამ ეტაპზე არ ახმაურებს. მისი დაკავება პოლიტიკურ ნიშნებს შეიცავს, – აცხადებს ზაზა პაპიძე.

ბათუმის მოვლენებთან დაკავშირებით, სამართალდამცველებმა მერაბ ლოლობერიძე და ირაკლი ჩხვირკია დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჯგუფური დანაშაულის ორგანიზების და ხელმძღვანელობის ბრალდებით ორი პირი – 1985 წელს დაბადებული მერაბ ლოლობერიძე და 1987 წელს დაბადებული ირაკლი ჩხვირკია დააკავეს.

მათივე ცნობით, აღნიშნული პირები დაკავებულები არიან სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს ჯგუფური მოქმედების ორგანიზებას ან ხელმძღვანელობას, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ან/და მათზე თავდასხმა.

## უაქციზო სიგარეტის საზღვარზე გადატანის ფაქტზე ორი პირი დააკავეს



სამართალდამცველებმა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის საბაჟო კონტროლისგან მალულად საზღვარზე გადაზიდვის ფაქტზე ორი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა მათი მართვის ქვეშ მყოფი სამგზავრო ავტობუსით სპეციალურად მოწყობილი სამალავის გამოყენებით საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის" გავლით, საბაჟო კონტროლისგან მალულად გადაზიდეს 25 989 კოლოფი უაქციზო სიგარეტი – Master.

საგამოძიებო სამსახურმა ბრალდებულები საზღვრის კვეთის დროს დააკავა, ხოლო კონტრაბანდული თამბაქო ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7 წლამდე ვადით.

## გარდაცვლილი 13 წლის შვილი დედამ ნახა



ვაზისუბნის დასახლებაში მომხდარ შემზარავი შემთხვევის ირგვლივ რამდენიმე ვერსია განიხილება.

გარდაცვლილია 13 წლის გოგონა, რომელიც, ერთ-ერთი ვერსიით, 8 სართულიანი კორპუსის სახურავიდან ფოტოს გადაღების დროს გადმოვარდა.

ასევე საუბრობენ თვითმკვლელობასა და მოზარდის გადმოგდებაზე.

ამ დრომდე უცნობია, მარტო იყო ის თუ ვინმესთან ერთად.

– თქვეს, რომ ბავშვი გადმოვარდა, დაინახეს მიწაზე. როგორ, რანაირად, საიდან არავინ არაფერი არ იცის. ზოგი ამბობს, რომ თამაშობდნენ, ზოგი ამბობს, რომ სელფის გამო, ზოგიერთის თქმით, კი ფეხი გაუცურდა და გადმოვარდა. მომხდარის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არავის აქვს, – აცხადებს გარდაცვლილის მეზობელი.

ადგილობრივების თქმით, მოზარდი ავტომობილს დაეცა და ადგილზე გარდაიცვალა.

– დედა ეძებდა თურმე, გარეთ გამოსულა გოგონას მოსაძებნად, ამ დროს საშინელი ხმა გაუგიათ, ავტომობილს ადამიანი დაეცაო, ადგილზე მისულ დედას საკუთარი შვილი უკვე გარდაცვლილი დახვდა. სასწრაფოც იყო მოსული, თუმცა უშედეგოდ, – ამბობს თვითმხილველი.

მეზობლების თქმით, იმ კორპუსის სახურავზე, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა, მოზარდები ხშირად იკრიბებიან, რადგან სხვენში ასავლელი ღიაა და უსაფრთხოების ზომებიც არ არის დაცული.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის 115-ე მუხლით დაიწყო, რომელიც პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## სამხედრო პოლიციამ დანაშაულებრივი ჯგუფი დააკავა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტმა, მთავარ პროკურატურასთან ერთად გატარებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, თაღლითობის მცდელობის ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფის 3 წევრი დააკავა.

საქმე ეხება ერთ-ერთი სამხედრო მოსამ-



სახურის ოჯახისგან, დიდი ოდენობით თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლების მცდელობას.

გამოძიების შედეგად დადგენილი პირები შენიღბულად, მოგონილი სახელებითა და კონსპირაციის დაცვით მოქმედებდნენ, თუმცა, მიუხედავად ამისა, გატარებული ქმედითი საგამოძიებო, ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, სამივე დაკავებულს წარედგინა ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსკ 19, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტებით (თაღლითობის მცდელობა ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით), რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით ითვალისწინებს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სამივე ბრალდებულს, 1968 წელს დაბადებულ გ.ხ-ს, 1952 წელს დაბადებულ ვ.ბ-ს და 1950 წელს დაბადებულ ჯ.შ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

## ქარელში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს



შსს-ს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ქარელის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი კ.ნ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარების ფაქტზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, „აკმ"-ის მოდელის ავტომატური ცეცხლასასროლი იარაღი, 4 მჭიდი და 120 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით).

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

**ქალბატონი ქეთათო**

# საფრანგეთი: მეორე ტურში მაკრონი და ლე პენი გავიდნენ



საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური დასრულდა. პირველ ტურში მაკრონმა გაიმარჯვა. გადამწყვეტ ეტაპზე ერთმანეთს მაკრონი და მარინ ლე პენი დაუპირისპირდებიან.

მაკრონს საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა დაურეკა და პირველ ტურში გამარჯვება მიულოცა.

ფიიონმა დამარცხება აღიარა და ამომრჩეველს მოუწოდა, რომ მეორე ტურში მხარი მაკრონს დაუჭირონ. მარინ ლე პენმა კი პირველი ტურის შემდეგ ფრიად საგულისხმო კომენტარი გააკეთა. მან განაცხადა, რომ შედეგები უდავოდ ისტორიულია, თავის თავს კი საერთო-სახალხო კანდიდატი უწოდა:

— დარწმუნებული ვარ, რომ ხალხი მე ამირჩევს! ყველამ იცის, რომ თუკი ასე არ მოხდა, საფრანგეთი დაიღუპება, — განაცხადა მან.

არჩევნები უაღრესად დაძაბულ ატმოსფეროში წარიმართა. ტერაქტების საფრთხე რეალური იყო. საფრანგეთის მთელი ძალოვანი სტრუქტურები მობილიზებულნი იყვნენ. წესრიგის დაცვა 50.000 პოლიციელს ეკისრებოდა.

სოციოლოგიური კომპანიების მიერ ჩატარებული გამოკითხვებით, საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ემანუელ მაკრონი ამომრჩეველთა ხმების 62%-ს იღებს, ხოლო მარინ ლე პენი — 38%-ს.

ეს ორი კანდიდატი ერთმანეთს საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში დაუპირისპირდება, რომელიც 7 მაისს გაიმართება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# საპროტესტო აქციები ნოვოსიბირსკში




ნოვოსიბირსკის მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა. თანახმად რუსეთის ოპოზიციის ლიდერის ნავალნის მოწოდებისა, მათ უარი თქვეს ისეთ ლოზუნგებზე, როგორებიცაა პუტინის ან ნოვოსიბირსკის გუბერნატორის გადადგომა.

აქციის მონაწილენი ფასების ზრდას აპროტესტებდნენ. ქალაქის ქუჩებში 20.000-მდე ადამიანი გამოვიდა.

ხელისუფლება იძულებული გახდა, უკან დაეხია. ნოვოსიბირსკის გუბერნატორი ხალხს შეხვდა და განუცხადა, რომ ფასების მომატება აღარ მოხდება.

## კალეიდოსკოპი

### ამერიკელმა პოლიციელმა სიჩქარის გადაჭარბებისთვის თავი დაიჯარიმა



პოლიციელმა ამერიკის ოკლაჰომის შტატის ქალაქ სპერიდან საკუთარი თავი სიჩქარის გადაჭარბებისთვის დაიჯარიმა.

ქალაქის ერთ-ერთმა მცხოვრებმა ვიდეოზე გადაიღო ავტომობილი, რომელიც გზაზე საათში 130 კილომეტრი სიჩქარით გადაადგილდებოდა, ხოლო მის საჭესთან ქალაქის პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელი ჯასტინ ბერჩი იჯდა. ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ პოლიციელმა თანაქალაქელებს ფეისბუქიდან მიმართა.

— მანქანით სწრაფად გადაადგილების მიზეზი მქონდა, თუმცა ჩემი მანქანის სიჩქარე არანორმალური იყო, — დაწერა მან და იქვე განაცხადა, რომ საჩივრის შემოსვლის შემდეგ საკუთარ თავს ჯარიმა გამოუწერა და მის გადახდას ისევე აპირებს, როგორც ამას სხვა ნებისმიერი მოქალაქე აკეთებს. სიჩქარის გადაჭარბებისთვის მას ჯარიმის სახით 300 დოლარის გადახდა მოუწევს.

### ფრანგი ბილიარდისტი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა



ფრანგი ბილიარდისტი ფლორიან კოლერი, რომელიც გიგანტური კიის მფლობელია, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.

ამერიკის ნევადის შტატის ქალაქ ლას-ვეგასში გამართულ ღონისძიებაზე სპორტსმენმა წარმოადგინა 537 სანტიმეტრი სიგრძის კიი, რომელიც მისმა სპონსორმა, იაპონურმა ფირმა ძძ-მა დაამზადა. მან ამ კიით რვა ბურთულის ლუზებში ჩაგდება მოახერხა.

გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა ხუთმეტრიანი კიი მსოფლიოში ყველაზე გრძლად აღიარეს, რომლითაც თამაში შესაძლებელია. ჩვეულებრივი კიის სიგრძე, როგორც წესი 160 სანტიმეტრს არ აღემატება.

ამის შემდეგ კოლერმა კიდევ ხუთი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. გინესის რეკორდების წიგნის ვებ-გვერდის თანახმად, მან ერთ წუთში შუა ლუზაში 70 ბურთულა წინაღობის შემოვლით ჩააგდო და ასევე ბურთულა აიძულა 23,53 წამის განმავლობაში ებზრიალა.

### ავსტრალიელმა მოზარდმა მანქანით მარტომ იმოგზაურა



ავსტრალიის პოლიციამ დააკავა მოზარდი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ავტომობილით მარტოდმარტოს გადაელახა მთელი ავსტრალია.

მომხდარის თაობაზე ადგილობრივმა სამართალდამცავებმა ჟურნალისტებს კვირას განუცხადეს. მათ ახალი სამხრეთ უელსის შტატის დასავლეთ ნაწილში გააჩერეს ავტომობილი, რომელიც ბამპერს მიწაზე მიახოხიალებდა. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ საჭესთან 12 წლის მოზარდი იჯდა.

ბიჭის თქმით, ის ქალაქ კენდელიდან (ქვეყნის აღმოსავლეთი სანაპირო) პერტში (დასავლეთი სანაპირო) მიემგზავრებოდა. მოზარდი ბროკენ-ჰილში გააჩერეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას უკვე გავლილი ჰქონდა 1300 კილომეტრი.

მოზარდი დააპატიმრეს და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს საქმის გამოსაძიებლად.

### ამერიკელმა შეყვარებულს ხელი იოგას ვარჯიშის დროს სთხოვა

ამერიკის პენსილვანიის შტატის მცხოვრებმა, 25 წლის ფოტოგრაფმა ალეკ ჰორანმა თავის მეგობარ გოგონას, 24 წლის სტეფ გარნერს ხელი იმ მომენტში სთხოვა, როდესაც იოგაში ვარჯიშით იყო დაკავებული. ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ჰორანი და გარნერი დასასვენებლად ჰავაიზე იმყოფებოდნენ. მამაკაცი ექვსი თვე ელოდება ისეთ მომენტს, როდესაც ისინი ლამაზ ადგილზე ბუნებაში აღმოჩნდებოდნენ.



### აფრიკელი ჭრელკანიანი გოგონა მოდელი გახდა



25 წლის განელი ექთანი, რომელიც ვიტილიგოთია დაავადებული, წარმატებული მოდელი გახდა. მისი ისტორია ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ენამ ჰეიკინზმა ჟურნალისტებს მოუთხრო, რომ შვიდი წლის ასაკში მას კანზე ნათელი ფერის ლაქები გამოესახა. მოსწავლეები მას უჩვეულო გარეგნობის გამო დასცინოდნენ და მასხრად იგდებდნენ.

— სკოლაში თანაკლასელები ახლოსაც არ მეკარებოდნენ, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ ეს გადამდები იყო, — იხსენებს გოგონა.

პრობლემები არც მაშინ დასრულებულა, როდესაც ჰეიკინზი გაიზარდა. ის ვერაფრით ახერხებდა პირადი ცხოვრების აწყობას, ვინაიდან თაყვანისმცემლებს მასთან ერთად ხალხში გამოჩენის ერიდებოდათ.

— საშინლად დათრგუნული ვიყავი, მაგრამ ხუთი წლის წინ ვთქვი და გადავწყვიტე: მორჩა, — განაცხადა გოგონამ.

ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უნდა შეგუებოდა საკუთარ გარეგნობას და მასზე აღარ ენერვიულა.

როდესაც ენამი საექთნოზე სწავლობდა, ის გააგზავნეს კონფერენციაზე, სადაც მას ყურადღება მიაქციეს სამოდელო სააგენტოს სკაუტებმა. ის სხვადასხვა ჟურნალებისა და მოდური ბრენდებისთვის სარეკლამო გადაღებებზე მიიწვიეს.

ვიტილიგო წარმოადგენს პიგმენტაციის დარღვევას, რომელიც კანის ზოგიერთ მონაკვეთზე მელანინის გაქრობას იწვევს. ამ დაავადებისგან პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით ერთი პროცენტია დაავადებული, ის ცუდადაა შესწავლილი და მკურნალობის საიმედო მეთოდები არ არსებობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

## მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით ..

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# დედაქალაქური დერბი დინამომ მოიგო და გალიდერდა

**დინამო-საბურთალო 2:0**

**თბილისი.** დინამო არენა
1:0 ლობჟანიძე (58), 2:0 თევზაძე (77)

**დინამო:** ლიტოვჩენკო, მიშენკო, თოთაძე, ლოჩოშვილი, ქარდავა, არაბული (მესხი 90), მიქელთაძე, ლობჟანიძე (თევზაძე 69), კიტეიშვილი, ჩაკვეტაძე (კუცია 82), გველესიანი

**საბურთალო:** კუპატაძე, ელვინ ტერა (მალი 65), მარგველაშვილი, ცნობილაძე, ლაკვეხელიანი, მამუჩაშვილი, არზიანი, ვაგნერი, ბიძინაშვილი (ჩოგაძე 46), იმნაძე (კოხრეიძე 59), შინდაგორიძე

დედაქალაქურ დერბიში დინამო საკუთარ არენაზე დაუხვდა საბურთალოს და 2:0 დაამარცხა. პირველი უგოლო ტაიმის შემდეგ, მასპინძლებმა მეორე ნახევარში ორჯერ შეძლეს გოლის გატანა და საბოლოოდ გამარჯვებას მიაღწიეს.

მატჩი დინამოელებმა აქტიურად დაიწყეს და პირველივე წუთებზე 2 სახიფათო შეტევა განახორციელეს. საბა ლობჟანიძის და ბაჩანა არაბულის აქტიურობამ უშედეგოდ ჩაიარა. მე-9 წუთზე კი უკვე საპასუხოდ ამწვავებდა ლაშა შინდაგორიძე – ბურთი ლიტოვჩენკომ გააქვავა. შეხვედრის მე-20 წუთზე დინამოელებმა სახიფათო შეტევა განახორციელეს. მარჯვენა ფრთიდან მიშენკო გაიჭრა, ბურთი ლობჟანიძეს გადააწოდა, რომელმაც თავის მხრივ ტექნიკურად ითამაშა და არაბული მოძებნა, რომლის თავურიც არაზუსტი გამოდგა. ათიოდე წუთში ისევ ლობჟანიძე-არაბულის კომბინაცია და ბურთი ისევ მცირედით ცდება კუპატაძის კარს. ტაიმის ბოლოსკენ უკვე ირაკლი ბიძინაშვილი ურტყამდა ძლიერად და არაზუსტად, ბურთი ზევიდან გადასცდა დინამოელთა კარს.

მეორე ტაიმი 10 წუთის დაწყებული იყო, როცა ლობჟანიძემ ითამაშა მოედნის ცენტრში აქტიურად, გაიჭრა ფლანგზე და საჯარიმოშიც ჩააწოდა. არაბულს სულ მცირედი დააკლდა ანგარიშის გასახსნელად. სამაგიეროდ ორიოდე წუთში გიორგი ჩაკვეტაძე ტექნიკური თამაშით საჯარიმოში შეიჭრა, ბურთი ლობჟანიძეს გადააწოდა და 1:0.



62-ე წუთზე ელვინ ტერამ საკმაოდ სახიფათოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა, რომელიც სერგეი ლიტოვჩენკომ ნახტომში მოიგერია. საპასუხოდ ლობჟანიძის ჩამოწოდებულ კუთხურს არაბული თავით გზავნიდა საბურთალოს კარში, ბურთი ისევ არ მოხვდა საბურთალოელთა კარის ჩარჩოში.

ამასობაში მოედანზე ლობჟანიძის ნაცვლად გიორგი თევზაძე შემოვიდა, რომელმაც 76-ე წუთზე შორი მანძილიდან საჯარიმო ჩააწოდა, ბურთს ვერავინ შეწვდა და საბურთალოს კარში მეორე გოლი გავიდა – 2:0.

ამის შემდეგ საბურთალოს 2 მწვავე შეტევა ჯერ თევზაძემ ჩაშალა, ხოლო შემდეგ ლოჩოშვილმა. საბოლოოდ დინამომ მიჯრით მეხუთე თამაში მოიგო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 8 | 6 | 0 | 2 | 14-4 | 18 |
| 2.ლოკომოტივი | 8 | 4 | 3 | 1 | 18-7 | 15 |
| 3.ტორპედო | 8 | 4 | 3 | 1 | 12-7 | 15 |
| 4.ჩიხურა | 8 | 4 | 1 | 3 | 11-8 | 13 |
| 5.საბურთალო | 8 | 4 | 0 | 4 | 8-10 | 12 |
| 6.სამტრედია | 8 | 3 | 2 | 3 | 6-8 | 11 |
| 7.დინამო (ბთ) | 8 | 3 | 0 | 5 | 6-9 | 9 |
| 8.დილა | 8 | 1 | 5 | 2 | 7-8 | 8 |
| 9.კოლხეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 11-16 | 7 |
| 10.შუქურა | 8 | 0 | 3 | 5 | 5-21 | 3 |

**ბომბარდირები:** ირაკლი სიხარულიძე – 8 ბურთი; მამია გავაშელიშვილი (ორივე ლოკომოტივი) – 6; მიკოლა კოვტალიუკი (კოლხეთი) – 5; ბაჩანა არაბული (დინამო თბ) – 5;

# ავთანდილ ხურციძე მსოფლიოს დროებითი ჩემპიონია



ქართველმა მოკრივემ ავთანდილ ხურციძემ მორიგი ორთაბრძოლა მოიგო და მსოფლიოს ჩემპიონის დროებითი ტიტული მოიპოვა. ეს გაირკვა ინგლისის ქალაქ ლიდსში გამართულ შეხვედრაში, სადაც 37 წლის ხურციძემ ბრიტანელი ტომი ლენგფორდი მე-5 რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა.

ლენგფორდი ბრძოლის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ მსაჯისა და ექიმების გადაწყვეტილებით, ის შეხვედრის გასაგრძელებლად მზად არ იყო და ბრძოლიდან მოიხსნა, რის შემდეგაც მსოფლიოს ჩემპიონის ქამარი ქართველ სპორტსმენს დარჩა.

მოპოვებული ჯილდოს დასაცავად ავთანდილ ხურციძეს უახლოეს მომავალში კიდევ ერთ ბრიტანელ მოკრივესთან მოუწევს დაპირისპირება. 37 წლის ქართველი სპორტსმენის მეტოქე ამჯერად 27 წლის ბილი ჯო სონდერსი იქნება, რომელიც აქამდე დაუმარცხებელია და 24 ბრძოლიდან 12 ნოკაუტით აქვს მოგებული.

სხვათა შორის, ხურციძის ბრძოლას მისი მომავალი მეტოქეც ესწრებოდა, რომელიც ბრძოლის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ქართველ მოკრივეს თავს დაესხა. ინგლისელმა მოკრივემ ქართველ მოწინააღმდეგეს შელაპარაკებისას არაერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა და მშობლიურ საქართველოში დაბრუნებაც ურჩია, ხურციძემ კი მას საპასუხოდ შოუმენი უწოდა.

ავთანდილ ხურციძისა და ბილი ჯო სონდერსის ბრძოლა 8 ივნისს შედგება.

# ქართველმა ძიუდოისტებმა ევროპას მეცხრედ გამოხედეს



საქართველოს ძიუდოსიტთა ნაკრები მეცხრედ გახდა ევროპის ჩემპიონი! ვარშავაში გამართულ ევროპირველობაზე ფინალში რუსებს მოუგეს და წერტილი ისევ ინდივიდუალური პირველობის გმირმა გურამ თუშიშვილმა დასვა.

ამჯერად ჩვენმა ნაკრებმა შესუსტებული შემადგენლობით იასპარეზა – ავთანდილ ჭრიკიშვილისა (90) და ვალერი ლიპარტელიანის (100) გარეშე. ავთი ტრავმის გამო არ ჭიდაობდა, ვარლამი კი გუნდურში ვერ მოხვდა, რადგან აქ 100 კილოგრამი საერთოდ არაა შეტანილი. არადა, გეხსომებათ, ჩვენი ნაკრები ძირითადად სწორედ ამ 2 ძიუდოისტის ხარჯზე იგებდა.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენებს წილისყრამაც გაუმართლა და ჯგუფური ეტაპი იოლად გაიარეს, თუმცა სუსტ მეტოქეებთან თითო შეხვედრა მაინც წააგეს: იტალიასთანაც და სერბეთთანაც 4:1 მოიგეს. ამის შემდეგ უკვე სანერვიულო შეხვედრები დაგვეწყო და დარჩენილ ორივე ორთაბრძოლაში ბეწვის ხიდზე გავიარეთ. ნახევარფინალში უკრაინასთან 1:2 ჩამოვრჩით, მაგრამ დარჩენილი 2 შეხვედრა მოვიგეთ და ფინალში გავედით.

1:2 ჩამოვრჩით ფინალში რუსეთთანაც. ვაჟა მარგველაშვილმა ანზაურ არდანოვს კი დამატებით დროში კი მოუგო და დავწინაურდით, მაგრამ მოულოდნელად წააგეს ლაშა შავდათუაშვილმა და ზებედა რეხვიაშვილმა.

საბედნიეროდ, დარჩენილი 2 წონის ფალავნებმა ისევ ივაჟკაცეს: ღვინიაშვილმა იოლად აჯობა მაგომედ მაგომედოვს და ყველაფერი ისევ მძიმე წონაზე მიდგა.

თუშიშვილს არ გასჭირვებია რენატ საიდოვთან, რომელიც მთელი თავით მაღალი და მძიმე იყო ჩვენებურზე. თუშიშვილმა მშვენიერი გდება გაუკეთე მეტოქეს, 2-მეტრიანი კაცი ტატამზე გაშხლართა და მეცხრედ მოგვიტანა ჩემპიონობა.

# შედეგები

**23 აპრილი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. თასი**

არსენალი-სიტი ...................... 2:1(დდ)

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბარნლი-მანჩესტერი ...................... 0:2
ლივერპული-კრ.პალასი ................ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 32 | 24 | 3 | 5 | 65-27 | 75 |
| 2.ტოტენჰემი | 32 | 21 | 8 | 3 | 68-22 | 71 |
| 3.ლივერპული | 34 | 19 | 9 | 6 | 70-42 | 66 |
| 4.სიტი | 32 | 19 | 7 | 6 | 63-35 | 64 |
| 5.მანჩესტერი | 32 | 17 | 12 | 3 | 50-24 | 63 |
| 6.ევერტონი | 34 | 16 | 10 | 8 | 60-37 | 58 |
| 7.არსენალი | 31 | 17 | 6 | 8 | 63-40 | 57 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 33 | 12 | 8 | 13 | 39-42 | 44 |
| 9.საუთჰემპტონი | 31 | 11 | 7 | 13 | 37-40 | 40 |
| 10.უოტფორდი | 33 | 11 | 7 | 15 | 37-54 | 40 |
| 11.სტოკი | 34 | 10 | 9 | 15 | 37-50 | 39 |
| 12.კრ.პალასი | 33 | 11 | 5 | 17 | 46-53 | 38 |
| 13.ბორნმუთი | 34 | 10 | 8 | 16 | 49-63 | 38 |
| 14.ვესტ ჰემი | 34 | 10 | 8 | 16 | 44-59 | 38 |
| 15.ლესტერი | 32 | 10 | 7 | 15 | 41-53 | 37 |
| 16.ბარნლი | 34 | 10 | 6 | 18 | 33-49 | 36 |
| 17.ჰალი | 34 | 9 | 6 | 19 | 36-67 | 33 |
| 18.სუონსი | 34 | 9 | 4 | 21 | 39-68 | 31 |
| 19.მიდლსბრო | 33 | 4 | 12 | 17 | 23-43 | 24 |
| 20.სანდერლენდი | 32 | 5 | 6 | 21 | 26-58 | 21 |

ასტონ ვილა-ბირმინგემი ............... 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სოსიედადი -დეპორტივო .............. 1:0
სელტა-ბეტისი ................................ 0:1
ლას პალმასი-ალავესი .................. 1:1
რეალი-ბარსელონა ........................ 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 33 | 23 | 6 | 4 | 94-32 | 75 |
| 2.რეალი | 32 | 23 | 6 | 3 | 84-36 | 75 |
| 3.ატლეტიკო | 33 | 20 | 8 | 5 | 60-24 | 68 |
| 4.სევილია | 33 | 19 | 8 | 6 | 58-39 | 65 |
| 5.ვილიარეალი | 33 | 16 | 9 | 8 | 48-27 | 57 |
| 6.სოსიედადი | 33 | 17 | 4 | 12 | 49-45 | 55 |
| 7.ბილბაო | 32 | 16 | 5 | 11 | 45-37 | 53 |
| 8.ეიბარი | 32 | 14 | 8 | 10 | 52-44 | 50 |
| 9.ესპანიოლი | 33 | 13 | 10 | 10 | 44-43 | 49 |
| 10.სელტა | 32 | 13 | 5 | 14 | 48-52 | 44 |
| 11.ალავესი | 33 | 11 | 11 | 11 | 32-40 | 44 |
| 12.ვალენსია | 33 | 11 | 7 | 15 | 47-56 | 40 |
| 13.ლას პალმასი | 33 | 10 | 9 | 14 | 52-58 | 39 |
| 14.ბეტისი | 33 | 10 | 7 | 16 | 36-51 | 37 |
| 15.მალაგა | 33 | 9 | 9 | 15 | 38-49 | 36 |
| 16.დეპორტივო | 33 | 7 | 10 | 16 | 35-51 | 31 |
| 17.ლეგანესი | 33 | 6 | 9 | 18 | 27-51 | 27 |
| 18.ხიხონი | 33 | 5 | 8 | 20 | 36-66 | 23 |
| 19.გრანადა | 33 | 4 | 8 | 21 | 27-70 | 20 |
| 20.ოსასუნა | 33 | 3 | 9 | 21 | 34-75 | 18 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ნუმანსია-ტენერიფე ......................... 1:1
მალიორკა-კორდობა ....................... 1:1
მირანდესი-სარაგოსა ...................... 0:1
ალმერია-სევილია ბ ......................... 2:1
რეუსი-ალკორკონი .......................... 0:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ფრაიბურგი-ლევერკუზენი ............ 2:1
შალკე-ლაიპციგი ............................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 30 | 21 | 7 | 2 | 73-17 | 70 |
| 2.ლაიპციგი | 30 | 19 | 5 | 6 | 56-31 | 62 |
| 3.დორტმუნდი | 30 | 16 | 8 | 6 | 65-35 | 56 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 30 | 14 | 13 | 3 | 57-32 | 55 |
| 5.ჰერტა | 30 | 14 | 4 | 12 | 38-35 | 46 |
| 6.ფრაიბურგი | 30 | 13 | 5 | 12 | 38-52 | 44 |
| 7.ვერდერი | 30 | 12 | 6 | 12 | 50-51 | 42 |
| 8.კიოლნი | 30 | 10 | 11 | 9 | 43-37 | 41 |
| 9.აინტრახტი | 30 | 11 | 8 | 11 | 32-34 | 41 |
| 10.გლადბახი | 30 | 11 | 6 | 13 | 39-44 | 39 |
| 11.შალკე | 30 | 10 | 8 | 12 | 39-35 | 38 |
| 12.ლევერკუზენი | 30 | 10 | 6 | 14 | 43-46 | 36 |
| 13.მაინცი | 30 | 9 | 6 | 15 | 39-49 | 33 |
| 14.ვოლფსბურგი | 30 | 9 | 6 | 15 | 30-43 | 33 |
| 15.ჰამბურგი | 30 | 9 | 6 | 15 | 30-55 | 33 |
| 16.აუგსბურგი | 30 | 8 | 8 | 14 | 29-49 | 32 |
| 17.ინგოლშტადტი | 30 | 8 | 4 | 18 | 33-54 | 28 |
| 18.დარმშტადტი | 30 | 6 | 3 | 21 | 23-58 | 21 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-ბოხუმი ...................... 2:0
ზანდჰაუზენი-კარლსრუე ................ 4:0
ვიურცბურგი-ნიურნბერგი .............. 1:1

**იტალია. სერია ა**

სასუოლო-ნაპოლი ........................... 2:2
უდინეზე-კალიარი ........................... 2;1
სამპდორია-კროტონე ...................... 1:2
მილანი-ემპოლი .............................. 1:2

*მილანის კარში პირველი გოლი ლევან მჭედლიძემ გაიტანა*

ლაციო-პალერმო ............................. 6:2
კიევო-ტორინო ................................ 1:3
იუვენტუსი-ჯენოა ........................... 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 33 | 27 | 2 | 4 | 68-20 | 83 |
| 2.რომა | 32 | 23 | 3 | 6 | 70-27 | 72 |
| 3.ნაპოლი | 33 | 21 | 8 | 4 | 77-35 | 71 |
| 4.ლაციო | 33 | 19 | 7 | 7 | 60-38 | 64 |
| 5.ატალანტა | 33 | 19 | 6 | 8 | 56-37 | 63 |
| 6.მილანი | 33 | 17 | 7 | 9 | 50-37 | 58 |
| 7.ინტერი | 33 | 17 | 5 | 11 | 63-42 | 56 |
| 8.ფიორენტინა | 33 | 15 | 10 | 8 | 55-45 | 55 |
| 9.ტორინო | 33 | 12 | 12 | 9 | 63-54 | 48 |
| 10.სამპდორია | 33 | 12 | 9 | 12 | 41-41 | 45 |
| 11.უდინეზე | 33 | 12 | 7 | 14 | 43-44 | 43 |
| 12.კალიარი | 33 | 11 | 5 | 17 | 46-64 | 38 |
| 13.კიევო | 33 | 11 | 5 | 17 | 36-52 | 38 |
| 14.სასუოლო | 33 | 10 | 6 | 17 | 42-52 | 36 |
| 15.ბოლონია | 33 | 9 | 8 | 16 | 31-49 | 35 |
| 16.ჯენოა | 33 | 7 | 9 | 17 | 32-57 | 30 |
| 17.ემპოლი | 33 | 7 | 8 | 18 | 22-51 | 29 |
| 18.კროტონე | 33 | 6 | 6 | 21 | 28-53 | 24 |
| 19.პალერმო | 33 | 3 | 7 | 23 | 27-73 | 16 |
| 20.პესკარა | 32 | 2 | 8 | 22 | 31-70 | 14 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ტულუზა-ნიცა ................................ 1:1
სტ.ეტიენი-რენი ............................. 1:1
ლიონი-მონაკო ................................ 1;2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 33 | 25 | 5 | 3 | 92-28 | 80 |
| 2.პსჟ | 34 | 25 | 5 | 4 | 71-23 | 80 |
| 3.ნიცა | 34 | 21 | 11 | 2 | 56-28 | 74 |
| 4.ბორდო | 34 | 15 | 10 | 9 | 49-39 | 55 |
| 5.ლიონი | 33 | 17 | 3 | 13 | 66-41 | 54 |
| 6.მარსელი | 34 | 14 | 10 | 10 | 48-38 | 52 |
| 7.სტ.ეტიენი | 33 | 11 | 13 | 9 | 36-30 | 46 |
| 8.ნანტი | 34 | 12 | 9 | 13 | 33-47 | 45 |
| 9.რენი | 34 | 10 | 14 | 10 | 32-38 | 44 |
| 10.გენგამი | 34 | 12 | 8 | 14 | 40-47 | 44 |
| 11.ტულუზა | 34 | 10 | 12 | 12 | 35-36 | 42 |
| 12.ლილი | 34 | 11 | 7 | 16 | 34-41 | 40 |
| 13.მონპელიე | 34 | 10 | 9 | 15 | 47-57 | 39 |
| 14.ანჟე | 34 | 11 | 6 | 17 | 34-46 | 39 |
| 15.მეცი | 34 | 9 | 9 | 16 | 34-69 | 36 |
| 16.ლორიანი | 34 | 10 | 4 | 20 | 42-65 | 34 |
| 17.კაენი | 34 | 9 | 6 | 19 | 33-58 | 33 |
| 18.დიჟონი | 34 | 7 | 11 | 16 | 44-54 | 32 |
| 19.ნანსი | 34 | 8 | 8 | 18 | 25-44 | 32 |
| 20.ბასტია | 33 | 6 | 10 | 17 | 26-48 | 28 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

უტრეხტი-როდა ............................. 1:0
ვიტესი-ფეიენოორდი ..................... 0:2
სპარტა-დენ ჰააგი ......................... 0:1
პსვ-აიაქსი ...................................... 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფერეირა-ბრაგა .............................. 3:1
გიმარაეში-ბოავიშტა ..................... 2:0
პორტუ-ფეირენშე .......................... 0:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტომი-ორენბურგი .......................... 1:2
კრილია-რუბინი ............................. 0:0
კრასნოდარი-არსენალი .................. 2:0

**შოტლანდია. თასი**

სელტიკი-რეინჯერსი ..................... 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-თუნი ............................ 1:2
იანგ ბოიზი-ლუგანო ...................... 1:2
სიონი-ლოზანა ............................... 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-აუსტრია ........................... 0:2

**ბელგია. 1 დივიზიონი**

**პლეი ოფი (ჩლ)**

ანდერლეხტი-ბრიუგე .................... 2:0

**პლეი ოფი (ელ)**

გენკი-მუსკრონი ............................ 6:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ვერია-ასტერასი ............................ 4:3
ირაკლის-პანეთოლიკოსი .............. 2:1
კერკირა-პანიონიოსი ..................... 1:0
ლარისა-ქსანთი .............................. 1:0
ლევადიაკოსი-აეკი ......................... 0:2
ოლიმპიაკოსი-იანინა .................... 5:0
პანათინაიკოსი-ატრომიტოსი ....... 1:0
პლატანიასი-პაოკი ........................ 1:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

აკჰისარი-ბურსა ............................. 5:1
გალასათასარაი-ფენერბახჩე ......... 0:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

იაბლონეცი-პრჟიბრჟამი ................ 2:4
სპარტა-პლზენი ............................. 2:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

**პლეი ოფი**

ზორია-ჩერნომორეცი .................... 1:2

**პლეი აუტი**

სტალი-ზვეზდა .............................. 1:0
კარპატი-ვოლინი ........................... 1:0

**დანია. სუპერლიგა**

**პლეი ოფი**

ნორდსიელანდი-ბრონდბიუ ........... 0:1
კოპენჰაგენი-მიდტიულანდი .......... 3:1

**პლეი აუტი**

რანდერსი-ოდენსე ......................... 4:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰამარბი-სუნდსვალდი ................... 0:0
ჰაკენი-ნორჩიოპინგი .................... 1:2
ესკილსტუნა-ჰალმშტადი ............. 0:0
ესტერსუნდი-გიოტებორგი ........... 1:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვიკინგი-ოდ გრელანდი .................. 3:0
ვალერენგა-სონგდალი ................... 3:0
რუსენბორგი-ალესუნდი ................ 0:0
სარპსბორგი-კრისტიანსუნდი ....... 5:1
ტრომსო-სტაბეკი .......................... 0:3
ლილესტრიომი-ბრანი ................... 0:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ჯჯკ-ჰიკი ........................................ 1:5

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რას ნიშნავს არხების სამგანზომილებიანი დაბჟენა

ეკა ირემაშვილი

ენდოდონტია თერაპიული სტომატოლოგიის ნაწილია, რომელიც სწავლობს კბილის არხების ანატომიას, ფიზიოლოგიას, დაავადებებს და მათი მკურნალობის მეთოდებს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ეს არის ოდონტოქირურგიული ჩარევა კბილის შენარჩუნების მიზნით.

რა არის ენდოდონტია და რას ნიშნავს არხების სამგანზომილებიანი დაბჟენა, ამ თემებზე ენდოდონტისტი ეკა ჩიხრაძე საუბრობს.

**ეკა ჩიხრაძე:**

– კბილის ფესვებს აქვთ არხების საკმაოდ რთული ანატომიური სისტემა.

დღევანდელ დღემდე ჩვენ არ გვქონდა ყველა განტოტების გუდაპერჩით შევსების საშუალება, იქ აღწევდა მხოლოდ სილერი, რაც ნაკლებად, მაგრამ მაინც იძლეოდა ბაქტერიული მიკროფლორის განვითარების რისკებს.

დღეისათვის, გერმანული ფირმის ახალი აპარატის დახმარებით, საშუალება გვაქვს არხების სამგანზომილებიანი დაბჟენის.

***– რას გულისხმობს უმაღლესი ხარისხის ენდოდონტიური მკურნალობა?***

– დღეისთვის უმაღლესი ხარისხის ენდოდონტიური მკურნალობა გულისხმობს შემდგომ ეტაპებს: ანესთეზიამიედო-ალ-დენტისტა-ანესტესიას, კოფერდამის დადებას, ენდოდონტიური ინსტრუმენტის არხში თავისუფალი მოთავსებისთვის შესასვლელის მომზადებას, რომელიც კარიესული ღრუს სწორი პრეპარირებით მიიღწევა. პულპის ანუ ნერვ-სისხლძარღვოვანი კონის და უცხო სხეულების მოცილებას არხიდან, არხის სამუშაო სიგრძის განსაზღვრას რენტგენის და აპექლოკატორის მეშვეობით. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მომენტია, რომელიც გვეხმარება შესაძლო გართულებების თავიდან აცილებაში. არხის მედიკამენტოზურ დამუშავებას ანტისეპტიკური ხსნარებით, რომელთა აქტივაცია ხდება ულტრაბგერითი ბუნიკებით, ინსტრუმენტულ დამუშავებას და ბოლო ეტაპია არხების დაბჟენა დღეისათვის უკვე 3დე ობტურატორით.




თითოეული ეტაპი ძალიან მნიშვნელოვანია. პროტოკოლის დარღვევა იწვევს გართულებებს. თითქმის ყველა არაკორექტულად ნამკურნალევი კბილი მომავალში ხდება უამრავი უსიამოვნების მომტანი, უკიდურეს შემთხვევაში ეს უსიამოვნებები მთავრდება კბილის ამოღებით.

***– რა მნიშვნელობა აქვს დაბჟენის ხარისხს?***

– კბილის არხების მექანიკური დამუშავებაზე არანაკლები მნიშვნელოვანი მისი ობტურაცია ანუ შევსებაა, რადგან ზუსტად დაბჟენის ხარისხი განსაზღვრავს წარმატებულ ენდოდონტიურ მკურნალობას.

დღეისათვის ხარისხიან დაბჟენად ითვლება არხების განტოტებების მთელი სისტემის სამგანზომილებიანი ჰერმეტიზაცია, რაც ასრულებს საიმედო ბარიერის როლს პირის ღრუსა და პერიოდონტის ქსოვილებს შორის. ამისათვის აუცილებელია შეივსოს არხი ბიოლოგიურად ინერტული მასალით, მაქსიმალური ობტურირება მოახდინოს როგორც ძირითადი, ასევე ლატერალური და აცეზორული არხების, მჭიდროდ ჩაბეჭდოს ფესვის სანათურში გამომავალი დენტინის მილაკები, გამორიცხოს განმეორებითი ინფიცირების ალბათობა, არხში არსებული მასალა არ უნდა იყოს გაწოვადი.

ამ მოთხოვნებმა სტომატოლოგიურ ბაზარზე გააჩინა უამრავი ახალი მასალა, მეთოდი და ხელსაწყო. დღეისათვის ამ მხრივ დიდი უპირატესობა აქვს არხების სამგანზომილებიან ობტურაციას ცხელი თერმოპლასტიფიცირებული გუტაპერჩით. ეს მეთოდი გაცილებით სწრაფია ხარისხიანი შედეგის მისაღებად და პრაქტიკულად გამორიცხავს არხების დაბჟენის შემდეგ ინფიცირებას. ამასთან ამ მეთოდით დაბჟენის შემდეგ ხდება ლატერალური არხების ხარისხიანი ობტურაცია, ფესვის დაზიანების გარეშე.

*სპორტი*

## შერმადინმა და ბურჯანაძემ პლეი ოფისკენ გაიწიეს



გიორგი შერმადინისა და ბექა ბურჯანაძის მორაბანკ ანდორამ მორიგი გამარჯვება იზეიმა. ქართველი ლეგიონერების დახმარებით ანდორელებმა საკმაოდ ძლიერი მეტოქე დაამარცხეს და პლეი ოფში გასვლის შანსები გაიუმჯობესეს.

ანდორელებმა მადრიდულ ფუენლებრადას უმასპინძლეს, პირველი ტაიმის შემდეგ 16 ქულით დაწინაურდნენ და უპირატესობის შენარჩუნება აღარ გასჭირვებიათ – 96:78.

ტრადიციულად, ქართველმა ლეგიონერებმა წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს. შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო და 22 წუთში 16 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. გიორგიმ 9-დან 5 ორქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო.

შედარებით მცირე დრო – 12 წუთი გაატარა მოედანზე ბურჯანაძემ, რისი მიზეზიც ის იყო, რომ ბექამ 4 ფოლი მალევე აკრიფა. ქართველმა ფორვარდმა 2-ვე ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო გამოიყენა, 9 ქულას კი 2 მოხსნა და 1 პასი წაამატა.

ანდორამ 15 მოგება და 13 მარცხი მოაგროვა და საპლეიოფო მე-8 ადგილი გაიმყარა, რადგანაც მე-9 პოზიციაზე მყოფ ბილბაო ბასკეტს უკვე 2 გამარჯვებით უსწრებს. ქართველ კალათბურთელთა გუნდი მომდევნო მატჩში სწორედ ბილბაოელებს ესტუმრება.

## ფრენბურთში ჩემპიონები თბილისი და ქუთაისი გახდნენ

დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ფრენბურთში ქალთა და ვაჟთა შორის და ჩემპიონებიც გამოვლინდნენ. ზედიზედ მეოთხედ ქვეყნის ქალთა ჩემპიონის საუკეთესო გუნდის წოდება თბილისმა მოიპოვა, ხოლო ვაჟებში ეს ტიტული პირველად ირგუნა ქუთაისმა.

ქალთა ჩემპიონატში 5 გუნდი მონაწილეობდა, მათგან ოთხმა მედლებისთვის გააგრძელა ბრძოლა, ხოლო მეხუთეადგილოსანი თსუ უმაღლესში ადგილის შესანარჩუნებლად გადათამაშებაში ბაქსვუდის სკოლას დაუპირისპირდა, 3:0 მოუგო და ელიტაში დარჩა.

რაც შეეხება ოთხთა ფინალს: თბილისმა ნახევარფინალში ბათუმი 3:0 დაამარცხა, ხოლო სამტრედიის ჯიკომ ამავე ანგარიშით ბოლნისს აჯობა.

მესამე ადგილი ზღვისპირელებს ერგოთ, რომელმაც ბათუმს 3:0 (25:15; 25:17; 25:17) მოუგო.

გაცილებით დაძაბულ ბრძოლას ველოდით ფინალში, მაგრამ ეს მხოლოდ პირველ სეტში შედგა, რომელიც თბილისმა 25:22 მოუგო ჯიკოს. შემდეგ კი ორივე სეტი იოლად იმარჯვა – 25:14 და 25:15.

კიდევ უფრო საინტერესო გამოდგა ვაჟთა ოთხთა ფინალი: ნახევარფინალში ქუთაისმა შარშანდელ ჩემპიონს, ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს 3:0 მოუგო, ხოლო ყვარელმა დაძაბულ ბრძოლაში 3:2 აჯობა თბილისს, რომელიც ძირითადად ახალგაზრდული ნაკრების წევრებით არის დაკომპლექტებული.

მე-3 ადგილი ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა მოიპოვა, რომელმაც პირველ სეტი 22:25 წააგო თბილისთან. სოლიდურად აგებდა მეორესაც – 7:15, მაგრამ თამაში შემოატრიალა, 22:18 იმარჯვა, რასაც მე-4 სეტში ამავე ანგარიშით მოგებაც მიაყოლა და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა.

ფინალში კი ქუთაისმა საწყისი 2 სეტი 25:20 მოუგო ყვარელს, მაგრამ მესამე სეტი უკვე კახელების უპირატესობით წარიმართა – 25:21.



მე-4 სეტი კი უდაძაბულესი გამოდგა. თავიდან ყვარელი იგებდა – 9:6, მაგრამ ქუთაისმა შეცდომებს უკლო, ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი წინაც გავიდა – 21:15 და თითქოს მატჩის ბედიც აქ გადაწყდა. ყვარელმა ზედიზედ 8 ქულა აიღო და თამაშში დაბრუნდა – 23:21. აქ უკვე ქუთაისმა იყოჩაღა და ზედიზედ 4 ქულის აღებით სეტი 25:23, ხოლო მატჩი 3:1 მოიგო და ტიტულით გაიხარა.

## ქართველმა სუმოისტებმა ევროპაზე 16 მედალი აიღეს

დიღომში მდებარე ძიუდოს აკადემიაში გაიმართა სუმოს ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 13 ქვეყნის 300-მდე სპორტსმენმა. სუმოისტებმა ჩემპიონ-პრიზიორები 21 და 23-წლამდელებში, ასევე უფროსი ასაკის სპორტსმენებს შორის გამოავლინეს. საქართველოს სამივე ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა და ჯამში 16 მედალი მოიპოვა.

საქართველოს 21-წლამდელ ვაჟთა ნაკრებმა 2 ოქროს, 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი, ხოლო 23-წლამდელთა ნაკრებმა 1 ოქროს და 4 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ტურნირის დასკვნით დღეს დოჰიოზე უფროსი ასაკის სუმოისტები გავიდნენ, საქართველოს ნაკრების 6 სპორტსმენმა 6 მედალი მოიპოვა – 1 ვერცხლი და 5 ბრინჯაო.



ჩვენმა ნაკრებმა გუნდურ შეჯიბრში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა, გადამწყვეტი შეხვედრა უნგრეთის ნაკრებს 3:0 მოუგო. 21-წლამდელთა გუნდურ დაპირისპირებაში ჩვენმა ახალგაზრდებმა ვერცხლის მედალი დაისაკუთრეს. 23-წლამდელთა გუნდური პირველობის ჩემპიონი კი საქართველოს ნაკრები გახდა, რომელმაც ოქროს მედლისთვის პაექრობა პრინციპულ მეტოქეს რუსეთის ნაკრებს დაძაბულ ბრძოლაში აჯობა.

სპეციალურად ევროპირველობისთვის თბილისში ჩამოვიდა ევროპის სუმოს ფედერაციის პრეზიდენტი დარიუშ როზუმი. ევროპირველობის დასკვნით საშეჯიბრო დღეს დაესწრო იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ტოშიო კაიტანი. ქართველ სუმოისტებს 2 დღის განმავლობაში ამხნევებდა ვეტერანი სუმოისტი ლევან ცაგურია, იგივე კოკაი.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ასტროპროგნოზი

### 25 აპრილისათვის



**ვერძი** – ახალი ნაცნობობა, სავარაუდოდ, იმედს გაგიცრუებთ. ახლობელ ადამიანთან ურთიერთობისას პრობლემები შეგექმნებათ. **კურო** – სულიერ დისკომფორტს განიცდით. ამიტომ არ იაქტიუროთ. განმარტოვდით და დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **ტყუპები** – სამსახურში ხელმძღვანელობის კეთილგანწყობას მხოლოდ შრომისმოყვარეობისა და მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით მოიპოვებთ. გუნება-განწყობა ხშირად გეცვლებათ. **კირჩხიბი** – სახიფათო დღეა. იზრდება კონფლიქტური სიტუაციებისა და ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა. მოთმინება გმართებთ. **ლომი** – საკუთარ თავზე ზედმეტ მოვალეობებს ნუ აიღებთ. ერიდეთ კამათს გარშემომყოფებთან. **ქალწული** – სამსახურში კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. ნუ აჰყვებით ემოციებს. **სასწორი** – არაკეთილისმყოფელი დღეა პროფესიული თვალსაზრისით. საჭიროა, მეტი ისწავლოთ და ცოდნის არეალი გაიფართოოთ. **ღრიანკალი** – შემოსავლის ახალ წყაროს მიაგნებთ. უკმაყოფილო არ დარჩებით. ცრუ დაპირებებს ნუ გასცემთ. **მშვილდოსანი** – საქმიანი მოლაპარაკებები დღეს გაუმართლებელია. დღის ნეგატიურ ტენდენციებს მხოლოდ თქვენი შრომისმოყვარეობა გააქარწყლებს. **თხის რქა** – დღეს განსაკუთრებული თავშეკავება და მოთმინება გმართებთ. კონფლიქტს თავიდან მხოლოდ ასე აიცილებთ. **მერწყული** – შრომა დაგიფასდებათ. ერიდეთ ახალი საქმის დაწყებას. მოულოდნელად წამოჭრილი პრობლემები ხასიათს ვერ გაგიფუჭებთ. **თევზები** – საქმიანი წინადადებით კმაყოფილი დარჩებით. მტკიცე ნებისყოფა და შეუპოვარი შრომა წარმატების საწინდარია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 2. ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიით კილაძის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი; 3. თიხის ჭურჭლის მკეთებელი ოსტატი; 4. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ტურისტთა მეგზური, გიდი იტალიაში; 7. ტროპიკებში გავრცელებული მახრჩობელა გველი; 11. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. გემთმშენებლობის ცენტრი უკრაინაში; 16. პიპინაშვილის საბავშვო მხატვრული ფილმი; 17. ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 18. შაქრის წარმოების ცენტრი საქართველოში; 20. ხორცის შესაწვავი მბრუნავ-შამფურებიანი ელექტროღუმელი; 22. ღარიბი, უსახლკარო ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. პატარა ავსტრალიური კენგურუ; 8. ნახევარკუნძული ევროპაში; 9. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი, ნაციონალური მოძრაობის წევრი შუა-აზიაში; 10. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 12. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 13. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 14. ტკბილი წვენებით შეზავებული სპირტიანი სასმელების ნარევი; 19. გერმანელი მეცნიერი, პირველი ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიოლოგიის დარგში; 21. დაკოდილი მამალი ცხვარი; 23. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 24. პენალტი ჰოკეიში; 25. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 26. ღია ლურჯი ფერი, ცის ეპითეტი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ბაირონი; 3. კრემლი; 8. პანიკა; 9. დოლი; 14. ელიბო; 15. კარეტა; 17. ლემა; 20. სკალპი; 22. რაგბი; 23. კატერი; 25. სიო; 26. ალღო; 27. კივი; 28. მარიონეტი; 29. სვია; 30. საია; 31. ინდივიდი.

**შვეულად:** 1. ბადე; 2. ირი; 3. კარაკასი; 4. ლა; 5. მაჩეტერო; 6. მინა; 7. პავიანი; 10. ლალი; 11. პედიატრია; 12. სოლიტერი; 13. ბალი; 16. კამათი; 18. ეგოისტი; 19. აკორდი; 21. პეანი; 24. რამპა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ბოა; 2. ლომერ; 3. სოლ; 4. ქოსა; 5. ირასეკი; 6. სკა; 7. ლაკმე; 8. ბენტლი; 9. სარი; 10. ბლუ; 11. არისა; 12. მედრესე; 13. ანტიგონე; 14. ნებრასკა; 15. ინა; 16. მედინა; 17. იკარიული; 18. ელვა; 19. გაიანე; 20. სია; 21. ლეი; 22. აიკიდო; 23. ანდეზიტი; 24. ანონა; 25. ტაეპი; 26. ურნა; 27. აშული; 28. შასლა; 29. ღიპი; 30. სილოვან; 31. ლა; 32. კარტახენა; 33. ოინი.

**სურათებზე:** სიენა მილერი; კლაუდიო მარკიზიო.

# ანიტა რაჭველიშვილი სასამართლოთი იმუქრება



საოპერო მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი სასამართლოთი იმუქრება და საქართველოს ფოსტას მისთვის გამოგზავნილი წერილების გახსნაში ადანაშაულებს:

– საქართველოს ფოსტა – ოფიციალურად გაფრთხილებთ, რომ სასამართლოში ვაპირებ ჩივილს! მერამდენედ ხდება უკვე! ყველა კონვერტი მოგაქვთ გახსნილ მდგომარეობაში!

ოფიციალური წერილები, კონტრაქტები და საფინანსო საბუთები მოწმდება და ისე მომდის სახლში! ეს კანონის დარღვევაა და იცოდეთ, ამას არ გაპატიებთ! მალე დაიწყება დიდი და ხმაურიანი სასამართლო! უნამუსოებო! საქართველოს მთავრობა აბსოლუტურად უმაქნისები ხართ და მამოწმებთ იმიტომ, რომ თქვენს მოღალატე პოლიტიკას არ ვეთანხმები?! შეეშვით ჩემს ოჯახს!

აუცილებლად შევატყობინებ ყველა თეატრს, რომ ფოსტა საქართველოში აღარ გამომიგზავნონ და ავუხსნი, რომ საქართველოს მთავრობა, საბაჟო და ფოსტა არღვევს კანონს და ხსნის ყველაფერს, შესაბამისად აღარ გამოგზავნონ!

რა სირცხვილია! საერთაშორისო ორგანიზაციებსაც ჩავრთავ! ციხეში ამოგაყოფინებთ თავს! პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი – თუ შეიძლება, დაგვეხმარეთ, ამის გარკვევაში!

# ლევან წულაძემ საოპერო სცენაზე გადაინაცვლა

მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და რეჟისორმა ლევან წულაძემ საოპერო სცენაზე გადაინაცვლა. თეატრალური წარძვრელ დრამად ქცეული კომიკური ოპერა და ჟორჟ ბიზეს მომნუსხველი მუსიკა...

„კარმენი“ ლევან წულაძის დებიუტია საოპერო ჟან-



რში და საქართველოს სახელმწიფო ოპერის თეატრში. სპექტაკლის სცენოგრაფი ირაკლი ავალიანია, კოსტიუმების მხატვარი პოლინა რუდჩიკია, დამდგმელი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი, ქორეოგრაფი გია მარღანია. სპექტაკლში მონაწილეობენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტები, გუნდი, საბალეტო დასი და ორკესტრი.

მოდგენების შემდეგ რეჟისორმა არჩევანი ჟორჟ ბიზეს „კარმენზე“ შეაჩერა.

სპექტაკლის პრემიერა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში შედგა. საიუბილეო 165-ე სეზონზე მაყურებელმა რეჟისორის ახლებური ინტერპრეტაცია იხილა, რომელშიც, ახალი სცენოგრაფიისა და კონცეფციის მიხედვით, მოქმედება კუბაზეა გადატანილი: ესაა თავისუფლების მოყვარული ბოშა ქალი თავისუფლების კუნძულზე, ჰაბანერა ჰავანური სიგარების ბოლში, მიამიტი ჯარისკაცის სულისშემ-

საპრემიერო სპექტაკლში კარმენის პარტია მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო კარმენად აღიარებულმა ქართველმა მეცო-სოპრანომ ანიტა რაჭველიშვილმა იმღერა.

# მზია ორველაშვილი ნინო ნადირაძე-კუზანოვას უპირისპირდება

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილე მზია ორველაშვილი ექიმ ნინო ნადირაძე-კუზანოვას უპირისპირდება.

ნინო კუზანოვამ ერთ-ერთ გადაცემაში აღიარა, რომ ქმარზე იეჭვიანა, როდესაც „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობდა და მისი პარტნიორი მზია ორველაშვილი იყო. როგორც ნინომ განაცხადა, ერთ დღეს რეპეტიციაზე მისულს წყვილი უხერხულ მდგომარეობაში დახვდა:

– მივედი ერთ დღეს რეპეტიციაზე და ვხედავ, ეს თავისი პარტნიორი ფეხებშუა ჰყავს გაგდებული და ზემოდან არის გადამხობილი.



მზია ორველაშვილმა ნინო ნადირაძე-კუზანოვა ცილისწამებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობისას არავისთვის მიუცია ეჭვიანობის მიზეზი:

– ძალიან დიდი ბოდიში! ძალიან გაფასებთ ყველას და ვმუშაობთ ერთად რამდენიმე წელია, მაგრამ გადამხობილი არავისთან და არავისზე ვყოფილვარ პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“. შეიძლება, ამ სიტყვებში სხვა რაღაც არის ნაგულისხმევი, მაგრამ ცოტა შეურაცხმყოფელად ისმის ეს ყველაფერი!

მე არასდროს არავისთვის პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ არ მიმიცია მიზეზი ეჭვიანობის!

არ გეწყინოთ არავის, არ მესიამოვნა ეს სიტყვები, მიუხედავად იმისა, რომ ვაფასებ კუზანოვების ოჯახს ძალიან და ვთვლი ჩემს ახლობლებად, მაგრამ მაქვს ჩემი აზრის გამოთქმის უფლება იმასთან დაკავშირებით, რაც არასდროს გამიკეთებია.

# ცნობილი ქართველები ტელეწამყვანები გახდნენ

ანრი ჯოხაძე, ნინი ბადურაშვილი, ნოე სულაბერიძე, ნინო ნადირაძე-კუზანოვა, ირაკლი მაქაცარია და სალომე ღვინიაშვილი ტელეწამყვანები გახდნენ.



ტელეკომპანია „იმედმა“ ახალი შოუ დაიწყო. „პრაიმშოუ“ – ასე ეწოდება გადაცემას, რომელიც ეთერში ყოველ შაბათს გადის. მწვავე დებატები, კითხვები და პასუხები ასპექტებზე, რომლებიც ამბების მიღმა რჩება – ასეთია შოუს მთავარი მიმართულება.

ეს არის გადაცემა, სადაც წამყვანები საზოგადოებას ნაცნობი მოვლენების უცნობ მხარეებს აცნობენ. 6 ვარსკვლავი – მომღერლები, მოდელი, ბიზნესმენი, პროდიუსერი და ექიმი ერთმანეთის პირისპირ წამყვანის ამპლუაში რჩებიან და დარბაზი, რომელიც ყველა გადაცემაში მათგან საუკეთესოს გამოავლენს.

„პრაიმშოუს“ პირველი გადაცემა „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ მიეძღვნა, სადაც მიწვეული იყვნენ როგორც ახალი სეზონის, ასევე წინა სეზონის მონაწილეებიც.

# ზურაბ სოტკილავა 80 წლისაა



მსოფლიოში აღიარებული ქართველი საოპერო მომღერალი ზურაბ სოტკილავა იუბილარია, მას 80 წელი შეუსრულდა.

სოხუმში დაბადებული მომღერალი წლებია რუსეთში ცხოვრობს, მოღვაწეობს და დიდი თეატრის სოლისტია. რამდენიმე წლის წინ მას სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს, თუმცა მომღერალმა მოახერხა და ეს ვერაგი დაავადება დაამარცხა.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მას დროებით კარიერაზე უარის თქმა მოუწია, დაგეგმილი კონცერტები გააუქმა, თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად სწრაფად წავიდა წინ, რომ მომღერალი კვლავ სცენას დაუბრუნდა.

მოსკოვში გამგზავრებამდე ზურაბ სოტკილავამ თბილისის კონსერვატორიაში ისწავლა და 9 წლის განმავლობაში თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში იმღერა. მილანის ლა სკალაში სტაჟირების გავლის შემდეგ კი დონ ჟოზეს პარტიით, მომღერლის დებიუტი შედგა მოსკოვის დიდ თეატრში, ერთი წლის შემდეგ კი ზურაბ სოტკილავა ამავე თეატრის დასს შეუერთდა, როგორც სოლისტი. პარალელურად, მოსკოვის კონსერვატორიაშიც ასწავლიდა.

ვინიასის სახელობის საერთაშორისო კონკურსის პირველი პრიზისა და ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის მეორე პრიზის მფლობელი ზურაბ სოტკილავა ამავე კონკურსის ჟიურისაც თავმჯდომარეობდა.

მომღერალი მრავალრიცხოვანი საპატიო ორდენის მფლობელია როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. არის საქართველოს დამსახურებული არტისტი და შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

„ვერდის ნაწარმოებების ბრწყინვალე ინტერპრეტაციისთვის“ კი ზურაბ სოტკილავა ბოლონიის მუსიკალური აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ავსტრალიაში გველმა სამგზავრო მატარებლით გაისეირნა



სამგზავრო მატარებელში, რომელიც ავსტრალიის ქალაქ კიამადან სიდნეიში მიდიოდა, გველი აღმოაჩინეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ქვეწარმავალი სავარძლების თავზე მდებარე საბარგულის თაროზე შენიშნეს. ამის გამო, მართალია, მატარებელი არ გაუჩერებიათ, მაგრამ, სამაგიეროდ, მგზავრები სხვა ადგილებზე გადასვეს, ხოლო როდესაც ვაგონში აღარავინ დარჩა, ის ჩაკეტეს.

სიდნეის სადგურზე მისვლის შემდეგ სპეციალისტებმა ვაგონი დაათვალიერეს და რეპტილია დაიჭირეს. ის ლაქებიანი პითონი აღმოჩნდა. ამ სახეობის წარმომადგენლები შხამიანები არ არიან, სიგრძეში ერთ მეტრს აღწევენ და ადამიანისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ.

# ამერიკელმა ქალმა თაყვანისმცემელი გადაარჩინა



ამერიკის მისურის შტატის ქალაქ ჯოპლინის მცხოვრებმა ქალმა პირველივე პაემანზე მასთან მისული მამაკაცი გადაარჩინა.

45 წლის ჯეინი ჰოლი კანზას-სიტიში ჩავიდა შესახვედრად იმ ადამიანთან, რომელიც მან ინტერნეტით გაიცნო. მათ ერთად ისადილეს რესტორანში, შემდეგ კი მეგობრებსა და ოჯახზე დაიწყეს საუბარი. მოულოდნელად მამაკაცმა სამჯერ დაახველა, თითი ზევით ასწია და იატაკზე უგონოდ დაეცა.

ოფიციანტის დახმარებით ქალმა მამაკაცი გადმოაბრუნა. პულსი აღარ უცემდა, პირიდან სისხლი სდიოდა. ჰოლი ადრე ექიმად მუშაობდა და იცოდა, თუ როგორ უნდა ემოქმედა, ამიტომ კაცს ხელოვნური სუნთქვისა და გულის მასაჟის გაკეთება დაუწყო. იმ დროისთვის, როდესაც შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარება მივიდა, მამაკაცს გულისცემა აღუდგა.

მამაკაცი ცოცხალი გადარჩა. გარდა ამისა, მან ჰოლი ისევ დაპატიჟა პაემანზე, ხოლო მისი ამ მდგომარეობაში ჩავარდნის მიზეზი უცნობი დარჩა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

პარტია „მემარცხენე ალიანსი“ სამძიმარს უცხადებს საინფორმაციო სააგენტო „GeoMedia TV“-ის რედაქტორს, ჟურნალისტ ქეთი მიქაძეს დედის

**დიანა აბულაძის**

გარდაცვალების გამო.

1955 წლის ვაჟთა მე-6 საშუალო სკოლადამთავრებულები ანზორ მაისურაძე, ბეგი ბაკურაძე, ლარგო ბაღდავაძე, ნუგზარ კალანდაძე, კუკური ცაგარელი, ირაკლი მელაძე, ქუჩი სხირტლაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკლასელი

**გივი გაბისონია**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

**სამშაბათი 25 აპრილი**

**07.00** დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10, 04.00** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "წიგნების თარო" **15.00, 02.00** "C სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 03.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** თოქ-შოუ . სპორტი 360 **23.00** მხ/ფ "**პატრიოტი**" (ჰ.ლეჯერი)

**08.00** დ/ფ "დრაკონების მუზეუმი" **09.00** დ/ფ "ჩირლიდერები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "იაპონია. იმპერატორი და ჯარი" **12.00** დ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "პირველი ეთიოპელი ბერების კვალდაკვალ" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**მტირალა ბავშვი**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.20** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ცოდნა ფულია **23.30** მხ/ფ "**ნათლია**" 1 ნაწ. **02.30** მხ/ფ "**დარტყმულები**"

**06.00, 18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუადღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი

**08.00** ან/სერ. "ფანბოი და ჩამ-ჩამი" **09.00, 13.00** სერ. "**აღქმა**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **19.00** სერ. "**გაბოროტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**რიტუალი**" **00.35** მხ/ფ "**მკვლელობა რისხვებით**" **02.50** მხ/ფ "**შეთქმულების თეორია**"

**06.10** სპექტაკლი "**ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს**" **07.40** დ/ფ "რა ხდება სიკვდილის შემდეგ" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **10.35** პატერიკი **10.40** დ/ფ "ყველაზე, ყველაზე...არაჩვეულებრივი მექანიზმები" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.30** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კლავია მინიატა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ტელეზღაპარი "ბასილას ზღაპარი" **15.50** ქრისტიანული ხელოვნება "ვაზისა და ღვინის თემა ქრისტიანულ ხელოვნებაში" 2 ნაწ. **16.30** სიმღერის კვალდაკვალ "სამედიცინო" (თბილისი) **17.05** ტალანტები და თაყვანისმცემლები "ელისო ვირსალაძე" **17.45** სიბრძნის მეტყველება **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** სამყაროს შექმნა **19.30** "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" II ნაწ. **19.50** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი "ფუძნარის ტაძარი" **00.30** საღვთისმეტყველო საუბრები **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.50** სერ. "**ესკობარი**" **1.00** "კონტაქტი" **1.30** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

25 აპრილისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4038

ევრო — 2.5718

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0757

100 რუსული რუბლი — 4.2720

## ამინდის პროგნოზი 25 აპრილისთვის




## 25 აპრილიდან

დევიდ უეისი

**როდენი**

ოქროს ბიბლიოთეკა
ტომი 21-ე

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**







## 26 აპრილიდან

ქართული დეტექტივი, ტომი 11

**სამხილი მარლბოროს კოლოფზე**

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 27 აპრილიდან

სერია
„ქართული საუნჯე“
ბავშვებს

საბავშვო მოთხრობები
მაგარი ყდა, ფერადი




**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**




## 4 მაისიდან

სერია
„ქართული საუნჯე“
ბავშვებს

50 საბავშვო ლექსი
მაგარი ყდა, ფერადი

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**

## კიმ კარდაშიანის და საკუთარი იუბილესთვის გაშიშვლდა



ამერიკელი ტელევარსკვლავის კიმ კარდაშიანის უფროსი და, 38 წლის კორტნი, გაშიშვლდა და ამის ამსახველი ფოტოსურათები სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე თავის დაბადების დღეს გამოაქვეყნა. სურათმა მილიონზე მეტი მოწონება მიიღო.

– ჩემი კოსტიუმი ჩემი დაბადების დღისთვის, – იხუმრა კომენტარში კორტნი კარდაშიანმა. სულ მის გვერდს სოციალურ ქსელში 56 მილიონი ხელმომწერი ჰყავს.

შეგახსენებთ, რომ კორტნი არის ბიზნესვუმენი, მსახიობი, მოდელი, ამერიკული ტელეშოუს „კარდაშიანების ოჯახისა“ და სხვა გასართობი პროგრამების მონაწილე. ის ასევე სამი შვილის დედაა.

ფოტოგრაფის მოვალეობა მაიკ როზენტალმა შეასრულა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



მეგობარი მეგობარს ეკითხება:

– ცოლს ღალატობ?

– აბა, სხვას ვის უნდა ვუღალატო?

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– როგორი გამხდარი ხარ და რას ჭამ?

– იმავეს, რასაც შენ, მხოლოდ ნახევარი ქვაბით ნაკლებს...

•••

კაცი სექსოპათოლოგს ეუბნება:

– ცოლთან სქესობრივ ურთიერთობას ველარ ვამყარებ.

– და ბოლოს როდის იწექით ცოლთან?

– აღარც კი მახსოვს, დაიცადე, ცოლს დავურეკავ და ვკითხავ.

– ალო! ლამარა, ბოლოს როდის გვქონდა სექსი?

– რომელი ხარ?

•••

მამაკაცს სამსახურის დაწყება სურს. კადრების განყოფილების უფროსი ეკითხება:

– წინა სამსახურიდან რატომ წამოხვედით?

– იქ ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა, ისეთი არეულობა იყო.

– ჩვენთანაც მასეა.

– აქ ახალგაზრდა გოგონები მაინც გყავთ...

•••

ქუჩაში სამი სომხის წინ ულამაზესი გოგონა მიდის. ერთი ამბობს:

– ასეთ გოგოსთან ღამის გასატარებლად ხუთას დოლარსაც არ დავიშურებდი.

– რა ხუთასი, ათასიც არ დამენანებოდა, – შეეპასუხა მეორე.

– რას ლაპარაკობთ, ასეთ ლამაზ გოგოს, უნდა ჩააცვა და დაახურო, ძვირფასი სამკაულები და მანქანა აჩუქო, ყოველ საღამოს რესტორანში უნდა წაიყვანო, – ამბობს მესამე.

ამ დროს გოგონა მოტრიალდა და ეკითხება:

– ეს ბოლო სიტყვები რომელმა თქვით?

– გოგონა, გაიარე, გაიარე, ჩვენ, უბრალოდ, ერთმანეთში ვსაუბრობთ.

•••

მასწავლებელი კითხულობს:

– რვას თუ შუაზე გავყოფთ, რამდენი გამოვა? აბა, გიგი, მიპასუხე.

– ვერტიკალურად ორი სამიანი, ხოლო ჰორიზონტალურად ორი ნოლიანი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

## ზლატან იბრაჰიმოვიჩი ოპერაციას ოთხშაბათს გაიკეთებს



მანჩესტერ იუნაიტედის ვარსკვლავი ზლატან იბრაჰიმოვიჩი მუხლზე ოპერაციას ოთხშაბათს გაიკეთებს. ამის შესახებ ინფორმაცია ბრიტანულ პრესაში ვრცელდება.

იბრაჰიმოვიჩმა ტრავმა ანდერლეხტთან განმეორებითი შეხვედრის დროს მიიღო და ამ ტრავმის გამო მან შესაძლოა წლევანდელ სეზონში თამაში ველარ შეძლოს. ბევრი რამ სწორედ ოპერაციაზე იქნება დამოკიდებული.

იბრა მანჩესტერ იუნაიტედში პირველ სეზონს ატარებს და ის ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდა, ამიტომ მისი არყოფნა დიდი დანაკლისი იქნება.

მანჩესტერის მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ იმედი გამოთქვა, რომ იბრაჰიმოვიჩი ტრავმას მალე მოიშუშებს.

## ალექსის სანჩესით ბაიერნიც დაინტერესდა



მიუნხენის ბაიერნს არსენალის ჩილელი ფორვარდის ალექსის სანჩესის ყიდვა სურს. ბაიერნი მზად არის, ამ ტრანსფერში 30 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა არსენალი სავარაუდოდ უფრო მეტს მოითხოვს, რადგან სანჩესით ბევრი სხვა გუნდიც არის დაინტერესებული, მაგალითად, ფრანგული პსჟ, რომელიც გაცილებით მეტს იხდის.

პსჟ-ს გარდა, სანჩესის ყიდვის სურვილს მანჩესტერ სიტიც გამოთქვამს, ამიტომ შეიძლება თითქმის დარწმუნებით ითქვას, რომ ჩილელი თავდამსხმელი არსენალში არ დარჩება. თვითონ სანჩესმაც ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ უფრო ძლიერ გუნდში სურს თამაში, სადაც ბევრ ტიტულს მოიგებს.

## რაფაელ ნადალმა მონტეკარლოს მასტერსი მოიგო



ესპანელმა ჩოგბურთელმა რაფაელ ნადალმა მონტეკარლოს მასტერსი მეათედ მოიგო. ფინალში მან თანამემამულე ალბერტ რამოს ვინოლასი დაამარცხა ორ სეტში ანგარიშით 6:3, 6:1.

მონტეკარლოს მასტერსი ნადალის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ტურნირია და ამ გამარჯვების შემდეგ რაფამ საგრძნობლად გაიუმჯობესა თავისი მდგომარეობა რეიტინგში. თამაშის შემდეგ ნადალმა განაცხადა, რომ სათამაშო ფორმით კმაყოფილია და იმედი გამოთქვა, რომ ის ამ ფორმას საფრანგეთის ღია პირველობაზეც შეინარჩუნებს.

ნადალი ამჟამად რეიტინგში მე-5 პოზიციას იკავებს.

## ჩეხმა ფეხბურთელმა თავი მოიკლა



თურქული გაზიანტესპორის ჩეხი ფეხბურთელი ფრანტიშეკ რაიტორალი 23 აპრილს საკუთარ სახლში ჩამომხრჩვალი იპოვეს.

რა გახდა თვითმკვლელობის მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია.

რაიტორალი 31 წლის იყო და ის გაზიანტესპორში პირველ სეზონს ატარებდა, მანამდე კი ის 7 წლის მანძილზე ჩეხური ვიქტორია პლზენის ღირსებას იცავდა, სადაც ჩემპიონთა ლიგაშიც აქვს ნათამაშევი.

რაიტორალს ერთი პერიოდი ჩეხეთის ნაკრებშიც იძახებდნენ და თავის ქვეყანაში ის საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელი იყო.

რაიტორალის თანაგუნდელებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მერიქიფეს, ღვინის ჩამომსხმელის ძველი ქართული სახელწოდება; 2. საინფორმაციო საშუალება; 3. ლითონის ბაგირი გემზე; 5. გერმანელი მწერალი; 6. სახელმწიფო სკანდინავიაში; 8. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსარკვევად და მკურნალობის მეთოდების დასადგენად; 10. საკანცელარიო ნივთი; 12. ძვირფასი საწერი კალმების მწარმოებელი ფირმა; 14. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 15. სამხედრო ფორმის შარვალი; 16. მდინარე ოზურგეთში.

**თარაზულად:** 1. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი; 4. კოჯრის, ტაბახმელას და წავკისის ძველი საერთო სახელწოდება; 7. შემაგრებული პორტუგალიური ღვინო; 9. თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის ხალხი; 11. ზღვისპირა კურორტი ზუგდიდის რაიონში; 12. პირობითი სასჯელი; 13. ბოშათა მომთაბარე ბანაკი; 17. საეკლესიო მგალობელთა გუნდი; 18. მოძღვარი, დამრიგებელი ინდოეთში; 19. კბილების ავადმყოფური კრაჭუნი ძილში; 20. გეომეტრიული სხეული.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

